წელიწადი მეორე | ფასი 5 კაპ. | ოთხშაბათი, 20 აპრილი 1916 წ. | № 87

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

**განცხადების ფასი**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ.
**დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.**

**ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი**

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**უპრემიოდ ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ.
თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ.
გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.
**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.
**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

ნაფიცი ვექილის თანაშემწე
**გიორგი თევდ.-ძე ქორდანია,**
რომელსაც დავალებული აქვს განსვენებულის კერძო ვექილის
**ილია ივანეს ძის ნატროშვილის**
საქმეების მოწესრიგება, უმორჩილესადა სთხოვს განსვენებულის კლიენტებს, ვისაც ჯერ არ მოუკითხავთ თავისი საქმეები, დროზე მოიკითხონ. ნახვა შეიძლება ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, საღამოს $5^1/_2$—7 საათამდე. სასამართლოს ქუჩა, № 26, ტელეფონი № 17—00. (3—87—3)

საგალანტერიო მაღაზია
**ერ. ივ. ჭავჭანიძისა და ი. ი. გველესიანისა**
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
**იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:**
**ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი**
(101—წ.)

**შეშის საწყობი**
**ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა**
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასში
**საკუთარი ტყიდან**
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

ქ. ბაქოში
**ღვინით ვაჭრობა**
**„მელაანი“**
**თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.**
იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

საუკეთესო კახური
**ღვინის საწყობი**
ადამ ზურაბის ძის
**ბერელაშვილისა**
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

**ვაგზლის სამკურნალოში**
(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)
**სამკურნალოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.**
აგრეთვე ექიმი—ქალი მარ. კონ. იოსელიანისა მიიღებს დედათა სნეულებით ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.
(თ.—126—20)

**ლექსთა კრებული**



-სა

თანდათანობით ურიგდება ხელის მომწერთ.
**ზედმეტად მორჩენილი წიგნები იყიდება:**
1) წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების მაღაზიაში.
2) „განათლების“ კანტორაში (ოლღას ქუჩა).
3) „ნოვ, რეჩ“-ის წიგნის მაღაზიაში (პროსპექტზე).

**მოდური მაღაზია**
**მ. ბაშარულისა**
სასახლის ქუჩაზე
იშოვება ყოველგვარი საუკეთესო რჩეული საქონელი
**მხოლოდ ევროპიული**
(—83—8)

ექიმი
**მ. დ. წინამძღვრიშვილი**
ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
**კალანდარიშვილი**
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.
ტელეფონი, 17—21.

ექიმი-დოსტაქარი
**გ. მ. მუხაძე**
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

**ექიმი მ. გ. ვეფხვაძე**
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** 18 აპრ. ოფიციალი. **დასავლეთის ასპარეზი.** პულკარნის მიდამოებში, რიგის სამხრეთ აღმოსავლეთით, ჩვენმა ზარბაზნებმა მტერს ყუმბარები დაუშინა. გერმანელების არტილერიამ სად. იკსკიულს და მის მიდამოების სიმაგრეებს ზარბაზნები დაუშინა. დვინსკის ერთ ადგილას ჩვენმა ზარბაზნებმა მტრის თხრილებს ცეცხლი გაუჩინა. ნაროჩის ტბის სამხრეთ-დასავლეთით მტერი შეეცადა თხრილებსდან გამოსვლას, მაგრამ ცეცხლით უკან დავახევინეთ. სად. ოლიკიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთით, როვნო-კოველის რკინის გზაზე, მტერი სამჯელ შეეცადა სოფ. ხრომიაკოვოს ალყის შემორტყმას, მაგრამ ზარბაზნის თოფის და ტყვიის ტყორცხნის ცეცხლით მოვიგერიეთ.

**კავკასიის ასპარეზი.** დიარბექირის მხარეს ჩვენმა ყაზახებმა ოსმალები დასავლეთით დასწიეს. ბაღდადის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა მტრის ძლიერი რაზმი უკუ აგდო, ამასთანავე ნაწილი არტილერიისა და ტყვია წამალი დავლად დაგვრჩა.

—

**პარიზი,** 17 აპრ. ოფიციალი. დღის ცნობა. ლასინის სამხრეთით ზარბაზნის მკაცრი სროლის შემდეგ, გერმანელებმა საღამოთი ატიშ და ლა-მოლეს შუა იერიში მიიტანეს. მტერმა თხრილების ნაწილი ხელთ იგდო, მაგრამ მალე უკუვაგდეთ. მაასის მარცხენა მხარეზე ავოკურ-ენის მიდამოებში ზარბაზნის სროლაა. გუშინ მორტჰომის ჩრდილოეთით გერმანელების თხრილები ვიგდეთ ხელთ, ტყვედ წამოვიყვანეთ 53 კაცი. ვევრთან საარტილერიო ბრძოლაა. ვოგეზებში მტერი სამჯერ შეეცადა იერიშის მოტანას ბანდუსაპ-ტეტ-დეფოსთან, რომელიც მოვიგერიეთ. არგონებში მტრის მფრინავი იძულებული იყო ძირს დაშვებულიყო. ჰაეროპლანი არ დაზიანდა. ორი მფრინავი აფიცერი ტყვედ წამოვიყვანეთ.

**პარიზი,** 17 აპრ. საღამოს ცნობა. მაასის, დასავლეთით, მორტჰომის მიდამოებში, მტერმა 1 და 2 ბრძოლის ხაზს ზარბაზნები დაუშინა. კიუმერის ჩრდილოეთით ავიღეთ გერმანელების თხრილი. დღის განმავლობაში 30 კაცი ტყვედ წამოვიყვანეთ. სხვა ადგილებში სიწყნარეა. ფრანგთა მფრინავებმა მტრის 7 ჰაეროპლანი დაღუპეს სხვა და სხვა ადგილას.

**პარიზი,** 18 აპრილი. ოფიციალი. გუშინ მორტჰომთან და კიუმერთან, სადაც მტერს თხრილები წავართვით, გერმანელებმა ორჯელ მოიტანეს იერიში, მაგრამ დიდი ზარალით უკუვაგდეთ. მესამე იერიშის დროს ზოგიერთა თხრილები ხელთ იგდეს მაგრამ მალე უკუვაგდეთ. „304“ სიმაღლეს და ვოს განუწყვეტლივ ზარბაზნებს უშენენ. ვევრში სიმშვიდეა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**უთანხმოება გერმანეთის და შეერთებულ შტატებ შორის.**

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან: გერმანეთი ცდილობს შეერთებულ შტატებთან ომი აიცდინოს. ბეტმან-ჰოლვეგმა შეერთებული შტატების ელჩი ჯერარი ინახულა, იმის შემდეგ როცა პარტიებთან მოლაპარაკება გაათავა, და განუცხადა: გერმანეთი მზად არის წყალქვეშა ომის პირობე ი განმარტოს. დაღუპვის წინ წყალქვეშა გემები გააფრთხილებენ, რათა თავი გადინარჩუნონ. ჯერარმა დეპეშით აცნობა კანცლერის წინადადება ვაშინგტონში კანცლერი გაემგზავრა მთავარ შტაბში, რადგანაც ვილჰელმთან ერთად უნდა განხილვა ამ პირობებისა, რათა შტატებთან ომი აიცდინონ.

პრესაც აღნიშნავს წყალ-ქვეშა გემების საკითხის გადათვალიერებას.

**პრესის აზრი.**

Tagliche Rundschau“-ს ცნობით: გერმანელების აზრით, წყალქვეშა ომს შეუძლიან აიძულოს ინგლისი, რომ მალე ჩამოაგდოს ზავი. ამავე გაზეთის აზრით გერმანეთისათვის ხელსაყრელი იქმნება ამერიკასთან ურთიერთობის გაწყვეტა, რადგანაც მოქმედების ასპარეზი უფრო გაფართოვდება.

**ირლანდია.**

პარიზიდან იტყობინებიან: ინგლისის პრესა დარწმუნებულია, რომ გერმანელები ვერ შესძლებენ ირლანდიაში გადავიდნენ იარაღით, რათა ირლანდიელებს ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიონ. მთავრობას გადაწყვეტილი აქვს არავითარ ზომების წინაშე არ შეჩერდეს ამბოხების ჩასაქრობად.

**გერმანელების ზარალი ვერდენთან.**

სტოკჰოლმში ფრანგთა ელჩმა მიიღო ოფიციალი ცნობა პარიზიდან: გერმანელ ტყვეების ცნობით, მათი ზარალი ვერდენთან აუწერელია. 8 აპრილს, გერმანელებმა იერიშის დროს სულ ცოტა 280.000 კაცი დაჰკარგეს ასე რომ ვერდენის ბრძოლას სისხლის ღვრაში არც ერთი ისტორიული ბრძოლა არ შეედრება.

**ბალკანეთის ასპარეზი.**

სალონიკიდან ათინაში იტყობინებიან: გეკკელის მიდამოებში ბრძოლაა, სადაც ქვეითა ჯარიც და არტილერიაც მონაწილეობას იღებს. მოკავშირეთ შეინარჩუნეს თავისი ადგილები.

**ვალონის სიმაგრე.**

ათინიდან იტყობინებიან: იტალიელები ვალონას ამაგრებენ და მაშველი ჯარი მოსდით. ვალონის სიმაგრე მიუდგომელ ადგილად გადააქციეს.

**ყუმბარის აფეთქება**

ათინიდან იტყობინებიან: 14 აპრ. ბულგარეთის დიპლომატიურ მისიის შენობაში საშინელის ძალით აფეთქდა ყუმბარა. ყუმბარა ეზოში დაედოთ. აფეთქებამ შენობას დიდი ზიანი ვერ მიაყენა, თუმცა საშინელი ძალისა იყო. მისიის შენობა და ახლო-მახლო ადგილებში ფანჯრები ჩაილეწა. ადამიანის მსხვერპლი არ არის. მეორე ყუმბარა, რომელიც არ აფეთქდა, იპოვეს შესასვლელში. ამ შემთხვევამ მრავალი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. პოლიციამ სასტიკი ზომები მიიღო დამნაშავეთა აღმოსაჩენათ შენობას პოლიციელთა რაზმი იცავს.

**რუმინეთი.**

მას შემდეგ, რაც გერმანეთ-რუმინეთის შორის შეთანხმება ჩამოვარდა, გაჩაღდა მოლაპარაკება რუმინეთ-ოსმალთ შორისაც. ამის შესახებ, გაზეთი „Osmnischer Jlohd“ იტყობინება: მოსალაპარაკებლად ბუქარესტში მოვიდა ოსმალთა კომისია, მოლაპარაკება სასურველად დაბოლოვდა. ხელშეკრულობის ძალით რუმინეთი ვალდებულია ოსმალეთს ხორბალი მიაწოდოს. რუმინეთსა და ავსტრიის შორისაც, როგორც დანამდვილებით იუწყებიან, ამ გვარივე შეთანხმება მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა ამ ხელშეკრულებებში უარს ჰყოფს პოლიტიკურ ნიადაგს, საზოგადოება მაინც ჰფიქრობს, რომ ამ გვარ ხელშეკრულებაში პოლიტიკურ კითხვებს დიდი ადგილი აქვს დათმობილიო.

**ბულგარეთში.**

ბულგარეთსა და სერბეთში მყოფმა გერმანელმა აფიცრებმა და უნტერაფიცრებმა ბრძანება მიიღეს გერმანეთში დაბრუნდნენ. ბულგარეთი შიშობს, რუმინეთმა მოკავშირეებისკენ არ გადაიხაროსო. ბულგარეთის სოფლის მოსახლეობა დიდ სიღარიბეშია ჩავარდნილი. გერმანელი აგენტები ჩალის ფასად იძენენ მამულებს.

**სალონიკში.**

სალონიკში იმყოფება 320 ათასი ფრანგ-ინგლისელი და 4000 სერბიელი. ეგეის კუნძულზე ათას ასი ფრანგი. ამათ ამ დღეებში მოემატა მცირე რიცხვი შავმთიელებისა.

**ბალკანეთში.**

ბალკანეთის მდგომარეობა მეტისმეტად გამოურკვეველია. გაზაფხული გადასწყვეტს ყოველივეს...

**რიგასთან.**

რიგიდან იტყობინებიან: გერმანელებმა ღამ-ღამობით სისტემატიურად დაიწყეს იკსკიულის სიმაგრეებთან ზარბაზნის სროლა. სროლა რამდენიმე დღე გრძელდება. ხშირად მტერი რამდენიმე ზარბაზანს ერთად აახმაურებს ხოლმე. რუსებიც მძიმე ზარბაზნის მკაცრი სროლით უპასუხებენ, რის შემდეგაც მტერი იძულებული ხდება შეაჩეროს მოქმედება. მძიმე ზარბაზნების სროლა რამდენიმე ათი ვერსის სიშორეზე ისმის. მტრის მფრინავები რიგის მიდამოებს დასტრიალებენ, ხშირად ყუმბარებს არ ისვრიან, მხოლოდ მიდამოს ჰზვერავენ.

### გერმანელთა მიზანი.

გაზ. „რეჩი“ ეხება იმ საკითხს, თუ რამდენად შესძლებს გერმანეთი რიგის სრუტეში ჯარის გადაყვანას და სწერს: ბალტიის ზღვა მტრის განკარგულებაში რომ იყოს, როგორც ხმელთა შუა ზღვა და შავი ზღვა მოკავშირეთა ხელშია, ადვილად შესძლებდა ჯარის გადასხმას. მაგრამ ბალტიის ზღვა და რიგის სრუტე გერმანელთა ფლოტის განკარგულებაში არ არის. ინგლისის გემები და რუსების წყალქვეშა თვალყურს ადევნებს მათ, რაც მათ მიზანს ფრთებს უკვეცავს. გერმანეთი რომელიმე ადგილს ზღვით ჯარს ვერ გადაიყვანს და განზრახვას სისრულეში ვერ მოიყვანს.

### დანიური გაზეთები.

კოპენჰაგენიდან ატყობინებენ „Berlinqske Tidende“-ს დანაელთა გაზეთები გადაწყვეტით ამბობენ; ვერდენის ბრძოლა გათავდა და ამ ახლო მომავალში დიდ მოქმედებას გააძლიერებენ ინგლისის ასპარეზზეო.

### ტყვეთა მდგომარეობა გერმანეთში.

ომიდან დაბრუნებულთა სიტყვით, ამ ბოლო ხანებში, გერმანელები კარგად ეპყრობიან ტყვეებს.

### კიდევ ჰოლც-ფაშა.

ქაირში დაბეჯითებით ამბობენ, ჰოლც-ფაშა სახადით კი არ გარდაიცვალა, მოწამლესო.

### ინგლისის ჯარის ბედი.

კუტ-ელ-ამარაში, ინგლისის მთელი ჯარი ოსმალებს დაჰნებდა. ამის შესახებ სამხედრო პირები სხვა და სხვა აზრს გამოსთქვამენ: მათის აზრით მესოპოტომიაში მყოფ ოსმალთა მეექვსე არმიას ოსმალები გაჰგზავნიან ინგლისელთა წინააღმდეგ, რომლებიც სპარსეთის სრუტედან მიიწევს წინ, და სუეცის წინააღმდეგ, რომელიც დიდი ხანია გერმანელებს მადას უღვიძებს. ფიქრობენ აგრეთვე, თავისუფალ ჯარის წინააღმდეგაც გადმოიყვანენ ქერმანშაჰის მიდამოებით. ჰავის მიხედვით კუტ-ელ-ამარის მიდამოების თავისუფალ ჯარს ქერმან-შაჰისაკენ გაჰგზავნიან. იტყობინებიან, რომ ტუანსენდის რაზმი დიდ გასაჭირში იყო ავადმყოფობისა და შიმშილისა გამო და 143 დღის ბრძოლის შემდეგ იძულებული იყო მტერს დაჰნებებოდა. ჯარს ცხენის ხორციც კი გამოჰლევოდა, რითაც უკანასკნელ დღემდე იკვებებოდა.

### ჯავშნოსანი „რუსელი“.

ხმელთაშუა ზღვაში ნაღმით დაიღუპა ინგლისელთა ჯავშნოსანი „რუსელი“. იგი აგებული იყო 1901 წელს, შეიარაღებული იყო ოთხი 12 დიუმიანი ზარბაზნით, თორმეტი 15 სანტიმეტრიანით, 6—4, 7 სანტიმენტ. 3, 7 სანტიანი და 4 წყალქვეშა სანაღმო აპარატით. სისწრაფე საათში უდრიდა 19 კვანძს. მეზღვაურთაგან გადარჩა 574 კაცი, აქედან 20 აფიცერია და ერთიც კონტრ-ადმირალი. სულ დაიღუპა 120 კაცი.

# ბრძოლის ველზე

### კავკასიის ასპარეზი

ოსმალთ იმედი არ უმართლდებათ, თითქმის ყოველ მხრით ახევინებენ. ამჟამად დიარბექირის მიმართულებითაც დაახევინეს. რაც შეეხება ბითლისს, აქეთ ხომ თვითონ რუსები გადასულან იერიშზე და ბაღდადისაკენ გაუკრავთ გეზი. რა იქნება, არ ვიცით. უნდა ვიფიქროთ, ამ მიმართულებით ოსმალნი დიდს წინააღმდეგობას გაუწევენ, რადგანაც მთელი ეს მხარე, საზოგადოდ ბაღდადი, კარგადა აქვთ გამაგრებული. რკინის გზებიც მშვენივრად აქვთ მოწყობილი. ამის გარდა, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ კუტთან ინგლისელების დამარცხების შემდეგ გამარჯვებული მხედრობა აქეთ გამოსწევს, თუმცა, რუსის სამხედრო მიმომხილველთ თუ დავუჯერებთ, ისინი უფრო სპარსეთს მიაშურებენ გენერალ ბარათოვის საწინააღმდეგოდაო.

სხვა მიმართულებით ცნობა არ მოსულა. რა ხდება აშკალა-მამახათუნისკენ არ ვიცით. თვითონ ტრაპიზონის რაიონიც დუმილს მიეცა. აქედან მხოლოდ ის ვიცით, რომ 10—15 ვერსით კიდევ წინ წაიწიეს, მაგრამ მას შემდეგ შეჩერდნენ თუ ოპერაციას აგრძელებენ, ამის შესახებ ცნობები არ მოდის.

### რიგა-დვინსკის ასპარეზი

გერმანელებმა როგორც ვიცით, 15 აპრილიდან მოულოდნელად აგრესიული მოქმედება დაიწყეს განსაკუთრებით ნაროჩის ტბის მიმართულებით და სამ ვერსზე მეტად წაიწიეს. ეს მოქმედება მეტად სწრაფი იყო. გერმანელები შეჩერდნენ და პოზიციების შემაგრებას მიჰყვეს ხელი. ეს დიდი ხანია მათი და რუსების ყურადღების საგნად გადაიქცა. ორთავე მხარე ყველაზე მეტად უყრის თავს და ერთიერთმანეთის ძალას ზომავენ. რა მოხდება შემდეგ, არ ვიცით, ეს კია, რომ ქარიშხალსავით მოვარდნილი მათი შეტევა მალევე იქნა შეჩერებული.

ვერდენის მხრით სასენსაციო არა მომხდარა რა. ბრძოლა ისევ ძველს ადგილებშია.

X

## თბილისი, 20 აპრილი.

**აფხაზეთის ხმა.** ბევრი რამ დავკარგეთ ქართველობამ, ბევრს რამეს ვკარგავთ და კიდევ ბევრი რამის დაკარგვა გველის მომავალში. მიზეზების განხილვაში აღარ შევდივართ: ყველასათვის ცხადია მათი საზოგადო სახელი, რომელსაც ყველა დაუდევრობის სახით იცნობს.

უკანასკნელ დაუდევრობის მსხვერპლი, თქმა არ უნდა, ჩვენი ეკლესიაც არის. მთელი საუკუნეა, რაც ჩვენი ეკლესია დაქვრივდა, მთელი საუკუნეა დამოუკიდებლობა მისი დათრგუნულია, მთელი საუკუნეა სიმდიდრიდან იცლება, მისი ნაჭირნახულევი, საუკუნეთა ქარცეცხლში გადარჩენილი დოვლათი განიავდა და ნიავდება კიდეც, მაგრამ მზრუნველი აღარც ბერია და აღარც ერი. სამღვდელოება ყრუა. იგი მოხელეობის მოვალეობას ვერ გასცილდა, ხოლო მისი მაყურებელი ერიც გულს იცრუებს ყოველისფერზე, გადაგვარებულ მწყემსის ნახვაზე თვითვე გვარდება.

უეჭველია, ერთს ასეთ გადაგვარებათ უნდა აიხსნას ის სავალალო მოვლენა, რომ სოხუმის ეპარქიის განკვეთის საკითხი ჩვენი ეკლესიიდან არა თუ არ აღელვებს ჩვენ საზოგადოებას, თვით სამღვდელოებაც ისე ცივად შეხვდა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, თითქოს არ შეეგნოთ ამ ამბის სიმწვავე ან რა ელის მით არა თუ ჩვენს ეკლესიის საკითხს მომავალში თვით ერის პოლიტიკურს ცხოვრებას? მარტო ის ფაქტი, თუ რელიგიის საკითხის წყალობით საქართველომ როგორ დაჰკარგა თვისი საუკეთესო სისხლ-ხორცი აჭარა, მთელი ლაზისტანი და სხვა, თავისთავად ჰგულისხმობს, რომ რელიგიას უფრო სათუთად უნდა მოვექცეთ, მის გარ დაწყვეტა ჩვენს სვებედს დავუკავშიროთ. აფხაზეთი და სამურზაყანო მთელს ისტორიულს სარბიელზე ივერიის ეკლესიის ღვიძლ შვილად ითვლებოდა, რაინდული საქართველო მას მფარველობას უწევდა, ვიდრე დამოუკიდებლობით ვსტკბებოდით, ვიდრე ჩვენ ჩვენი ბედის ჩარხი საკუთარ ხელით შეგვეძლო გვეტრიალებინა. შესწყდა პოლიტიკური დამოუკიდებლობა საქართველოში და მისი გავლენაც ხსენებულ მხარეებზე მოისპო. უწმ. სინოდმა ივერიის ეკლესიის ნაცვლობა გასწია. სინოდმა ვერ აუღო ალღო და არც ჰსურდა გაეგო ერის ჭირი და ვარამი და მიტომაც ფეხის შედგმისთანავე რუსული სულის შეტანა დაიწყო, ეკლესიაში სლავიანური წირვა-ლოცვა გაუჩაღა. ხალხმა ვერ მოითმინა ეს და ნაყოფი ასეთის ვითომც და „ქრისტიანობის გავრცელებისა“ სრულიად უარყოფითი დარჩა: მცხოვრებთა უმრავლესობა მაჰმადიანობას უერთდება...

მაგრამ თურმე ესეც არა კმარა. ქართველ ერს კიდევ მცირეოდენი ხიდი გვქონდა მათთან მისასვლელად, ვიდრე ეს მხარე ჩვენს ეკლესიის განუკვეთელად ითვლებოდა და ითვლება კიდეც. უწმ. სინოდს, როგორც „საქართველოს“ ფურცლებზე არა ერთხელ ეუწყა მკითხველს, განუზრახავს ჩამოკვეთა ხსენებული ეპარქიის ქართულ საექსარხოსოდან. ეს ნიშნავს უკულმართ პოლიტიკის დაგვირგვინებას, ეს ნიშნავს იმას, რომ უკანასკნელი ქრისტიანობის ნაშთიც მოვსპოთ ამ მხარეში და მასთან სულით და ხორცით დავკარგოთ საქართველოს ერთი საუკეთესო ნაწილთაგანი...

ეს სიმწვავე უგვრძნიათ თვით აფხაზეთს და სამურზაყანოს. გულადუღებულთ მათ სამგლოვიარო ზარი ჩამოუკრავთ და სინოდისთვის შესაფერი თხოვნით მიუმართიათ, რომლის ასლსაც ჩვენს გაზეთში ნახავს მკითხველი. ჩვენი უწმინდესი მოვალეობაა ყურად ვიღოთ მთხოვნელთა ღაღადისი, ყოველ მხრით დახმარება აღმოუჩინოთ მათ. უწინარეს ყოვლისა საჭიროა თვით სამღვდელოთა და ერის წარმომადგენელთა ხმაც შეუერთდეს მათს ხმას, რათა განწირულ ეპარქიასთან ერთად ვითხოვოთ სინოდის წინაშე, შეჩერებულ იქნეს განზრახვა მისი. ერის კეთილდღეობა მოითხოვს კუთილ გონიერებას, ძმებს სალოცავი შევურჩინოთ მამაპაპეულს სამლოცველოში, რომ მათთან ვიყვნეთ სულიერად და ხორციელად, ჭირიც და ლხინიც ერთი სახით გავინაწილოთ.

# დეპეშები

(პეტროგრადის საკუთარ კორესპ.)

**„ნოვოე ვრემია“ სწერს: რომ შევადაროთ ტრაპიზონის დაცემა და ინგლისის არმიის დატყვევება მესოპოტამიაში, გამარჯვებულები მაინც მოკავშირენი არიან.**

—

**გაზეთ „დენ“-ის სამხედრო მიმომხილველი სწერს: უეჭველია ინგლისის ჯარის დამარცხების შემდეგ სამხედრო მოქმედება სპარსეთში გაცხოველდება.**

—

**მცოდნე პირები ფიქრობენ, ბაღდადზე გალაშქრება მაინც არ შეჩერდებაო.**

—

**„ინვალიდი“ სწერს: გერმანელები ფიქრობენ მოლოდეჩნოსთან იმავე გეგმით იმოქმედონ, როგორც წინედ სვენციანის მიდამოებში მოქმედებდნენ.**

—

**ბევრი იმ აზრისაა, რომ ოსმალეთის ჯარი, რომელმაც ინგლისელები დაიმორჩილა, ბაღდადიდან ქერმანშაჰისაკენ გაილაშქრებს, სადაც ეხლა ბარათოვის ჯარი მოქმედობსო.**

ლ. ჯ.

(მოსკოვის საკ. კორესპოდენ.)

**ტრაპიზონის დაცლის წინეთ გახიზნული მუსულმანი მცხოვრებნი ახლა უკანვე ბრუნდებიან.**

—

**„რუსკი ვედომ.“ ატყობინებენ: ოსმალებმა 500 მილიონი მანეთი ისესხა გერმანეთში.**

—

**გერმანეთის და შვეიცარიის საზღვრები დაკეტილია ოცი დღით და არავის არ უშვებენ.**

—

**ინგლისის ელჩმა ბიუკენენმა ინახულა ამ ჟამად კიევში სამკურნალოდ მყოფი იალტის გენერალ-გუბერნატორი დუმბაძე.**

გ. ვ.

**(პეტრ. სააგენტოს დეპეშები).**

ვერდენის მიდამოებში ბრძოლაა, მტერმა ატოშის და ლა-მოლეს შუა იერიში მიიტანა და თხრილები ხელთ იგდო. ფრანგებმა მალე უკუაგდეს.

—

ვოგეზებში გერმანელები ამოქმედდნენ და წინ იწევენ.

—

ვერდენის ასპარეზით ფრანგებმა გერმანელებს შვიდი ჰაეროპლანი დაუღუპეს.

—

304“ სიმაღლესთან და ვოს მიდამოებში მკაცრი ბრძოლაა.

—

იკსკიულის მიდამოებში გერმანელები კვლავ ზარბაზნების სროლას განაგრძობენ.

—

ირლანდიაში ამბოხება გრძელდება. მეამბოხეთა ნაწილი ტყვედ წაუყვანია მთავრობას, ნაწილი კი იბრძვის.

—

ირლანდიაში ტყვედ არის წაყვანილი 707 მეამბოხე, მათ შორის გრაფ მარკსვიჩის მეუღლე.

—

ბალკანეთში გევგელ-დოირანის ხაზით საარტილერიო ბრძოლაა.

# აჯანყება ირლანდიაში

**ლონდონი,** 17 აპრ. ფელდმარშალ ფრენჩის ცნობა. 19 მეამბოხე ტყვედ წავიყვანეთ და კვინსტოუნში გავისტუმრეთ. მეორე ნაწილი მეამბოხეთა ენისკორტთან გაძაგრდა, პოლიცია მათ მოქმედებას აჩერებს. ქალაქიდან ოთხი ვერსის მანძილზე მეამბოხეთაგან რკინის გზა თავისუფალია. დუბლინში ბაროუსის ხიდი და რკინის გზის შტო ცოტად დაზიანდა.

**ლონდონი,** 18 აპრილი. ოფიციალი. დუბლინში მდგომარეობა გაუმჯობესდა. ჯარის სარდალის სიტყვით, მეამბოხენი მალე დაწყნარდებიან. ღამე მეამბოხეთა ბელადებმა შიკრიკები გაგზავნეს სხვა ადგილებში, რომ ესენი დაჰნებებოდნენ. დუბლინში საკვალის ქუჩასთან, ფოსტასთან, და სხვა ადგილებში მეამბოხენი მთავრობას ჰნებდებიან. ჯერ 707 კაცია ტყვედ წაყვანილი, მათ შორისაც გრაფ მარკოვიჩის მეუღლეა. მეამბოხეთა ხელშია ენისკორტი, ვეკსფორდის საგრაფოში, აქ ჯარი გაიგზავნა. ირლანდიის სხვა ადგილებში სიმშვიდეა.

**„მერანი“-ს პირველი წიგნი ამ თვის გასულს დაურიგდება ხელის მომწერთ.**

# ახალი ამბავი

**სასახლეში.** მეფის ნაცვალი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე უმაღლესი ოჯახობით ბათომიდან თბილისს დაბრუნდა.

✦ **მეფის ნაცვლის მეუღლეს** დიდ. მთავ. ანასტასია ნიკოლოზის ასულს სადარბაზოდ წარუდგა ბოდბის წმ. ნინოს წინამძღვარი იგუმენია ანასტასია.

✦ **საქართველოს ეგზარხოსმა** სამადლობელი დეპეშა მიიღო მეფის ნაცვლის მეუღლის დიდ. მთავ. ანასტასია ნიკოლოზის ასულისაგან იმ მილოცვაზე რომელიც ეგზარხოსმა სამრევლო სკოლების მოწაფეთა მხრივ გაუგზავნა.

✦ **ერევნის ეპისკოპოსს** ახლად [illegible] 22 აპრილსაა დანიშნული, ხოლო კურთხევა 25 აპრილს.

✦ **დიდუბის ეკლესიის გამშვენიერება.** არქიელის სიტყვიერის განკარგულებით უნდა შესდგეს ამ ახლოხანში კომიტეტი დიდუბის ეკლესიის დასახატავად—გასამშვენიერებლად. კომიტეტში შედიან ჩვენი მხატვრებიც.

✦ **შაბიამნის საქმე.** ცნობილ ფრიდონოვს საზღვარ-გარეთიდან მიღებული ჰქონია, თურმე 110 ათასი ფუთი შაბიამანი. აქედან გამოაჩინა მხოლოდ 12 ათასი ფუთი, დანარჩენი კი გადამალულია. ერთგზობად მიუღია 50 ათასი ფუთი, მეორედ—60 ათასი.

✦ **კახეთის რკინის გზაზე** გამოცხადებულია საგანგებო დაცვის წესები.

✦ **სუმბათაშვილ-იუჟინის მოლოცვა.** ქართულ კულტურულ-განმანათლებელ კავშირმა მოსკოვიდან მოსალოცი დეპეშა მიიღო თ-დ სუმბათაშვილ-იუჟინისაგან და დღეგრძელობა უსურვა.

✦ **„ახალი კლუბი“** ამ თვის დამლევს გადადის საზაფხულო ბინაზე. ბაღი კლუბისა ყველაფრით მზათ არის, ასე რომ არავითარ ახალ შეკეთებას არ თხოულობს. მამასახლისთა საბჭო ამ დღეებში გადასწყვეტს, თუ რომელ დღეს უნდა გადავიდეს კლუბი.

✦ **მძარცველობა.** გურჯაანის სადგურის მახლობლად გაუძარცვავთ რკინის გზის დარაჯი სევასტიანოვი. მძარცველებს უცემიათ მისთვის და 45 მანეთი წაურთმევიათ. ბოროტმოქმედებანი ჯერ ვერ აღმოუჩენიათ.

✦ **ქვედა აჭარაში,** როგორც ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას ატყობინებენ, ხალხი დიდ გასაჭირს განიცდის სათესლე მასალისა, მუშა საქონლისა და სამეურნეო იარაღების უქონლობის გამო.

✦ **სამსახურიდან გადაყენება.** ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა საქალაქო ადგილების მზომველ განყოფილების გამგეს ბ-ნ მელიქ-ალახვერდოვს თანამდებობიდან გადადგეს.

✦ **კრება ბუნების მეტყველთა.** დღეს 20 აპრილს უმაღლეს ქალთა კურსების ბუნების მეტყველთა საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებაა დანიშნული.

✦ **ექიმი საყასბოს მსახურთათვის.** ქალაქის სამკურნალო სასანიტარო ინსპექტორმა შუამდგომლობა აღძრა ქალაქის გამგეობის წინაშე მოიწვიოს საგანგებო ექიმი ქალაქის საყასბოში მოსამსახურეთათვის და აგრეთვე საყასბოსთან ამბულატორიის მოწყობის შესახებ.

✦ **ავტომობილის მსხვერპლი.** საბირჟო ავტომობილმა (№ 71) გოლოვინის პროსპექტზე გასრისა სპარსელი შაბაბ გენჯი-ოღლი 20 წლისა.

✦ **ტყვე ოსმალები.** დღეს განმანაწილებელ ჰოსპიტლიდან ქუთაისს იგზავნება 100 კაცი ავადმყოფი და დაჭრილი ტყვე ოსმალო.

# საქართველოს ეკონომიური ცხოვრების მასალები

(გაგრძელება. იხ. „საქრ.“ № 84)

ტყიბულის რაიონის წარმოება გამოიხატება შემდეგ სურათში:

| წლები | დამუშავდა. | ღირებულება. |
|---|---|---|
| 1909 | 2.439,475 ფუთი | 243.947 მან. |
| 1910 | 2.401,700 „ | 228,161 „ |
| 1911 | 3.884,862 „ | 310,789 „ |
| 1912 | 4.132,117 „ | 322,405 „ |

გარდა 1910 წლისა, ყველა წლები აღვნიშვნენ პროგრესიულ ზრდას, ასე უკანასკნელი წელი $32_{15}$%-ით მეტ რიცხვს იძლევა 1909 წელთან შედარებით.

ვაჭრობა-მრეწველობის საერთო სურათი, ზემო დასახელებულ წარმოებათა გამოკლებით, შემდეგ სურათს იძლევა:

| | ქარხ. რიც. | წარ. ღირ. | მუშების რ. |
|---|---|---|---|
| 1909 წ. | 1,576 | 721,642 | 2,615 |
| 1910 წ. | 1,942 | 805,301 | 4,102 |
| 1911 წ. | 1,983 | 1.160,658 | 4,434 |
| 1912 წ. | 1,969 | 1.835,645 | 3,304 |

ეგ სურათი საერთო წარმოების განცხოველებას მაინც მოწმობს, თუმცა ამ ციფრებს ვერას შემთხვევით ვერ მივიღებთ, მაგრამ ვაჭრობა-მრეწველობის, წვრილ წარმოებათა მსვლელობის ტენდენციის გამოსახატავათ ეგ ციფრები საკმარისია და აღნიშვნენ წარმოების ერთგვარ განდიდებას. ციფრების შედარებისას, მეტადრე წინა წლებისასაც, საჭიროა ყურადღება მიექცეს უმთავრესად დამუშავებულის, წარმოების ღირებულების ციფრებს, რომელი ციფრები შედარებით უფრო მეტი ყურადღებით იკრიფება მთავრობის მიერ. ამ მხრივ აბსოლუტურათ თვალსაჩინო წარმატება ეტყობა ვაჭრულ საქმიანობას.

სხვა და სხვა გვარ სავაჭრო და სამწერლო მოწმობების გაცემისათვის მთავრობას ქუთაისის სახაზინო პალატის ჩვენებით შემოუვიდა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1909 წ. | 128,984 მან. | 22 | კაპ. |
| 1910 წ. | 122,988 „ | 50 | „ |
| 1911 წ. | 136,944 „ | 23 | „ |
| 1912 წ. | 152,054 „ | — | |

თუმცა 1910 წლისთვის საჭირო ცნობა „Обзор“-ში 1909 წელთან შედარებით ნაკლები ციფრითაა მოყვანილი, მაგრამ ეგ ციფრებიც საკმაოთ ნათელ-ყოფენ ვაჭარ-მრეწველთა წრის თან და თანობით გაძლიერებას, მით უმეტეს თუ ამ ციფრებს შეადარებთ წინა 1904—1907 წლების დასახასიათებლათ მოყვანილ ცნობებს. თუ უკანასკნელ წლებში მეტი სავაჭრო-სამრეწველო მოწმობები გავიდა (გადასახადის რაოდენობა უცვლელი იყო) სჩანს მოწმობების ამღებნი ე. ი. ვაჭარ-მრეწველნიც რიცხვითა და მდგომარეობით განდიდებულან წინა წლებთან შედარებით- აქვე მოვიყვანთ შემოზიდულისა და გაზიდულ საქონლის რაოდენობას, რომელიც ტრიალებდა ფოთის ნავთსაყუდარში; ჯერ განვიხილოთ უცხოეთთან რა კავშირი აქვს ფოთის ნავთსაყუდარს:

| წლები. | შემოზიდეს ფუთი. | შემოზიდულის ღირებულება. | გაზიდეს. | გაზიდულის ღირებულება. |
|---|---|---|---|---|
| 1909 | 7,101 | 16,466 მან. | 34,441,138 მ. | 8.213,155 მან. |
| 1910 | 6,413 | ? | 37.723,659 „ | ? |
| 1911 | 356,746 | 118,479 „ | 31.851,000 „ | 7.377,770 „ |
| 1912 | 320,054 | 103,125 „ | 41.661,945 „ | 9.360,758 „ |

უკანასკნელი ორი წელი წინა წლებთან შედარებით მეტ რიცხვებს აღნუსხვენ; ეგ ციფრები სინამდვილეს მაინც ვერ გამოხატვენ, რადგან დასავლეთ საქართველოში შემოზიდულ და იქიდან გაზიდულ საქონლის მთელი რაოდენობა მარტო ფოთის საქონელის ტრიალით არ განიზომება, მას უნდა მიემატოს ბათომის ნავთსაყუდრის ცნობებიც, რომელი ცნობებიც საუბედუროთ ვერ ვიშოვეთ. ეს მით უფრო დიდი დანაკლისია, რომ ბათომის ნავთსაყუდარს გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს უცხოეთთან ვაჭრობაში ვიდრე სხვა ნავთსაყუდრებს. რუსეთთან ურთიერთობა ფოთისა შედარებით დიდია; ის გამოიხატება საერთო საქონელთა ტრიალით, რომელიც უდრიდა: 1909 წ. 17 მილიონ ფუთსა, 1911 წ. 19 მილიონსა, 1912 წ. 21,5 მილიონსა.

ასეთ ვითარებაში იყო ჩვენი სამეურნეო ცხოვრების უმთავრესი დარგები; მათ სვებედს სავსებით გაინაწილებს ის საშუამავლო დაწესებულებანი, რომელნიც ემსახურებიან წარმოების განსაზოგადოებრივობას, მოქალაქობრივი ურთიერთობას, როგორიცაა ფოსტა-ტელეგრაფი; უკანასკნელის შემოსავალ-გასავალი ე. ი. მისი წარმოება გამოიხატება შემდეგნაირათ:

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
|---|---|---|---|---|---|
| წლები. | შემოსავალი | შემოსავალის ზრდა % % | გასავალი. | გასავლის ყოველწლიური ზრდა % %. | რამდენი % მოგება რჩება. |
| 1909 | 224,118 | — | 96,861 | — | $131_{,38}$ |
| 1911 | 274,258 | $22_{37}$ | 125,660 | $29_{,72}$ | $118_{,25}$ |
| 1912 | 306,093 | $11_{60}$ | 132,768 | $5_{,65}$ | $130_{,54}$ |

1910 წლისათვის სანდო ცნობა არ გვქონდა. დანარჩენი წლები კი ყველანი ერთსა და იმავე მიმართულების ციფრთა ცვალებადობას ცხად ჰყოფენ, რომ წარმოება წლიდგან-წლამდე დიდდებოდა, იზრდებოდა და ფართოვდებოდა. თვით მომგებიანობა წარმოებისა თუმც საგრძნობლად იცვლება აღნიშნულ სამი წლის განმავლობაში, მაგრამ ეს უკანასკნელი დაშორებია 100 %-ს. შეადარეთ ეგ ციფრები 1904-1907 წლებისას და ცხადათ დაინახავთ თუ როგორ იზრდებოდა ფოსტა-ტელეგრაფის წარმოება, და მასთან ერთად, მაშასადამე, მოთხოვნილებაც მცხოვრებთა შორის სივრცით დაშორებულ სავაჭრო პუნქტებთან მოქალაქობრივ ურთი-ერთობისა. იგივე ფოსტა-ტელეგრაფის ოპერაციები, ამ შემთხვევაში მხოლოდ მისი წარმოების საფუძლო მხარე საუკეთესო კოლეიდოსკოპათ გვექცევა ჩვენი მეურნეობის განვითარების ტენდენციის, მისი **იდეის** ნათლად გასაშუქებლად, გავსინჯოთ ეგ დარგი და გავითვალისწინოთ, რამდენი გაუგზავნია და რამდენი მიუღია ჩვენ მოქალაქეთა და მესაკუთრეთა წრეს უცხო მხარეებიდგან.

**ფულის ოპერაციები დასავლეთ საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფებში:**

| წლები. | ფოსტამ წაიღო მან. | კ. | ფოსტამ მოიტანა მან. | კ. | რამდენი მეტი წაიღო მან. | კ. | რამდენად მეტი მოიტანა მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1908 | 10.504,344 | 88 | 10.377,870 | 44 | 126,474 | 44 | — | — |
| 1909 | 12.755,636 | 91 | 12.518,215 | 54 | 237,421 | 37 | — | — |
| 1910 | 14.199,033 | 48 | 14.630,815 | 09 | — | — | 431,781 | 61 |
| 1911 | 15.320,677 | 28 | 16.137,043 | 66 | — | — | 816,366 | 38 |
| 1912 | 17.438,604 | 92 | 18.260,607 | 68 | — | — | 822,002 | 76 |
| 1913 | 17.469,157 | 72 | 18.470,781 | 17 | — | — | 1.001,623 | 45 |

შეადარეთ ეგ ციფრები 904—1907 წლის ცნობებს და დარწმუნდებით, რომ მაშინდელი მორცხვათ გადადგმული ნაბიჯი ჩვენი მეურნეობის მიერ დამოუკიდებლობისათვის ეხლა გაცილებით უფრო გაბედული და ბეჯითია: 1910 წლიდან მოწყებული ფოსტას მეტი მოაქვს ადგილობრივ მცხოვრებთა ე. ი. მოქალაქეთათვის ჩასაბარებლათ, ვიდრე ჩვენგან მიაქვს უცხოებისათვის გადასაგზავნათ; თუ 1910 წელს ეგ ჩვენთვის სასარგებლო ზედმეტობა მხოლოთ $1/2$ მილიონზე ნაკლები იყო, 1913 წ. იგივე ზედმეტობა მილიონს აღემატება. ე. ი. მთელი $131_{,97}$%-ით სჭარბობს 1910 წლის ზედმეტობას. სამეურნეო ცხოვრების განცხოველებას გვიმტკიცებს ხაზინის წარმოებაც.

**ტიტე მარგველაშვილი.**

(შემდეგი იქნება)

◆ **შეპყრობა.** ოქრომჭედლების ქუჩაზე პოლიციამ შეიპყრო ზ. ყირმიზოვი და ბ. მღებროვი, რომელნიც ვერცხლის ქამარს ჰყიდდნენ. ქამარი, როგორც აღმოჩნდა, ნაპარევი ყოფილა. გაჩხრეკის შემდეგ მათ ზედ აღმოაჩნდათ ორი რევოლვერი და 42 პატრონა.

◆ **ტრამვაის მოძრაობა.** თანახმად ქალაქის მოხსენებისა საბჭომ დაადგინა, რომ 1 მაისიდან ზაფხულის განმავლობაში ღამის 12 საათიდან ნაშუაღამევის 2 საათამდე ამუშაოს 14 მატორიანი ვაგონი. ამ რიცხვიდან 5 ვაგონი იმუშავებს ვაგზლიდან მოყოლებული მიხეილის პროსპექტით და ვორონცოვის ხიდით ერევნის მოედნამდე; 5 ვაგონი ივლის ვაგზლიდანვე მიხეილის პროსპექტით, ვერის ხიდით და გოლოვინის პროსპექტით ერევნის მოედნამდე; 2 ვაგონი—ვორონცოვის ძეგლიდან ავლაბრის მოედნამდე; 1 ვაგონი—ერევნის მოედნიდან წყნეთის ქუჩაზე და 1 ვაგონი—ვაგზალსა და ერევნის მოედანს შუა ვარანცოვის ხიდით და ჩერქეზიშვილის ქუჩით. ფასი მგზავრობისა იქნება ერთი სამად, ე. ი. შაურიანი ბილეთი ეღირება სამი შაური და 3 კაპეიკიანი 9 კაპეიკი. უფასო წიგნაკებით მოგზაურობა არ შეიძლება.

◆ **ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოება.** პარასკევს, 22 აპრილს, საღამოს 8 საათზე ექიმთა საზოგადოების დარბაზში გაიმართება საჯარო კრება საზოგადოებისა, რომელზედაც მწერალი **მელანია** წაიკითხავს მოხსენებას: „ზოგიერთი ადათჩვეულებანი კახეთ-ქიზიყში“. მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი.

◆ **შუამდგომლობის დაკმაყოფილება.** სახალხო მასწავლებელთა ურთიერთშორის დამხმარე საზოგადოების საორგანიზაციო ბიურო, ბიუროს თავმჯდომარის ვარ. ბურჯანაძის წინამძღოლობით, გუშინ, 19 აპრილს, ქალაქის მოურავს წარუდგა და სთხოვა, რომ ქალაქი დაეხმაროს საზოგადოებას 600 მანეთით საზოგადოების წევრთა დამფუძნებელ კრების გასამართად მომავალ თიბათვეში და ამასთანავე საქალაქო სკოლების შენობები უსასყიდლოდ დაუთმოს ჩამოსულ მასწავლებელთა საბინადროდ. ბ-ნმა ხატისოვმა კარგად მიიღო ბიუროს წევრები და შუამდგომლობის დაკმაყოფილება აღუთქვა. ამასთანავე ბ-ნი ხატისოვი შეჰპირდა ბიუროს, რომ ჩამოსულ მასწავლებლებს უსასყიდლოდ ვატრებთ ტრამვაის ვაგონებით, მხოლოდ მათ უნდა ჰქონდესთ გულზე რაიმე საგანგებო ნიშანიო.

## აფხაზების შუამდგომლობა

აფხაზებმა შემდეგი შუამდგომლობით მიჰმართეს უწ. სინოდს: უძველეს დროიდან, რუსეთთან შეერთებამდე, აფხაზეთში ქრისტიანობა ვრცელდებოდა ქართველ სამღვდელოების მიერ, რომელიც საერთო იყო აფხაზეთის ქართულ ეკლესიისთვის და რომელიც მარად იმყოფებოდა მმართველ ფეოდალურ თავადების და აფხაზეთის ხალხის მფარველობის ქვეშ. ამ სამღვდელოებას დიდი გავლენა ჰქონდა აფხაზეთში და საოცარი უნარი და მხნეობა გამოიჩინა ქრისტიანობის გავრცელებაში ყველა იმ რაიონებში, სადაც ქრისტიანობას ამა თუ იმ დამაბრკოლებელ მიზეზით ფეხი ვერ მოეკიდნა. შემდეგ, როგორც საქართველო და აფხაზეთი რუსეთს შეუერთდა და საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა გაუქმებულ იქმნა სინოდიდან დამორჩილებით, ქრისტიანობის გავრცელების საქმე და მისი პოპულიარიზაცია მეტად შეფერხდა; თვით უძველესის დროინდელი ქრისტიანები აფხაზეთის ზოგიერთ რაიონებისა თანდათან გამაჰმადიანდენ.

მიზეზი ამ სამწუხარო მოვლენისა უეჭველად უნდა ვეძიოთ ხალხისა და ქრისტიანობის გამავრცელებეთა თანდათან დაშორებაში, რომელნიც ლამობდენ ქრისტიანობის გავრცელებას, ხალხისთვის გაუგებარ ენაზე. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან აფხაზეთის ეკლესიებში წირვა-ლოცვა შემოღებულ იქმნა ხალხისთვის გაუგებარ—სლავიანურ ენაზე. ხალხსა და მოძღვართა შორის შესწყდა უსაშუალო დამოკიდებულება, რამაც ჩვენი ეკლესია მიიყვანა დღევანდელ სამწუხარო მდგომარეობამდე.

ამ ჟამად ხმა დადის, რომ სინოდში პროექტია სოხუმის ეპარქიის გამოყოფისა საქართველოს საექსარხოსოდან, რაც სამუდამოდ დააბოლოვებს საეკლესიო ინტერესებს აფხაზეთში. ქრისტიანობის აღდგენისთვის, რომელიც განქრობის გზას ადგია, და რომელიც მოხდა ზოგიერთ, ეკლესიასთან სრულიად დაუკავშირებელ მიზეზთა გამო, საჭიროა ხალხისა და მოძღვართა დაახლოვება, შექმნა ისეთის პირობებისა, რომელიც დააახლოვებს ხალხსა და სასულიერო მმართველობას. სარწმუნოებრივ საკითხში პოლიტიკას არ უნდა ჰქონდეს ადგილი. ისტორიულად, საუკუნოების განმავლობაში ხდებოდა ქადაგება ქრისტეს მოძღვრებისა ერთგვარის ცნობილის წესით, რომლის შეცვლით სარწმუნოებრივი გრძნობა კი არ განვითარდება, არამედ შესუსტდება და დაიძლუნგება. ამ მოსაზრებათა და სარწმუნოების ინტერესთა დაცვის გამო, გთხოვთ არ გამოგვთიშოთ და გამოგვყოთ ძველადვე არსებულ წყობილებიდან, რომელიც შექმნილია საუკუნოების განმავლობაში საქართველოს და აფხაზეთის ისტორიულ და კულტურულ ცხოვრების მიერ.

## სალამი დიდი ხნით დაშორებულ ძმებს

ამ უუსაშინელესმა მსოფლიო ომმა ბევრი შხამი და ძირმწარე გვასვა ქართველებს, ბევრი ქართველი ვაჟკაცი დაღუპა ბრძოლის ველზე, ბევრი ქართველი დედა აატირა მწარე ცრემლებით... მაგრამ მანვე მოგვიძღვნა ძვირფასი ნობათი ამ სააღდგომოთ, დეპეშამ მოგვიტანა დიდათ გასახარელი ამბავი: კავკასიის ქებულმა ლაშქარმა აიღო ქ. ტრაპიზონი და მასთან მთელი ვილაიეთიო...

ბევრმა ქართველმა შეიძლება არც იცოდეს თუ რას ნიშნავს ეს ფრიად საგულისხმო დეპეშა. ამ ცნობით ოსმალეთის იმპერიას ჩამოგლეჯა დიდი პროვინცია, მთელი ტრაპიზონის ვილაიეთი და შეუერთდა რუსეთს, მაგრამ ეს პროვინცია არის ძველი საქართველო, კოლხეთის ერთი დიდი ნაწილი და მასზე დასახლებული 100.000 ჭანი ანუ ლაზი არის მეგრულათ მოსაუბრე ქართველი ტომისანი, პოლიტიკურ-ეკონომიურათ და კულტურულათ დაკავშირებული ქართველ ერთან.

უძველეს დროში ჭანები, მეგრელები, სვანები და აფხაზები შეადგენდენ ერთ დიდს და კულტურულ სამეფოს და ცხოვრობდენ მცირე აზიაში ხეთების სახელით. მათ ჰქონდათ ხანგრძლივი ბრძოლა მეზობელი ურიებთანა, განსაკუთრებით ეგვიპტელებთან. ბრძოლის საგანი იყო სირია, რომელიც გადადიოდა ერთიდან მეორეს ხელში. დაახლოვებით 2300 წ. ქრ. მოსვლამდე ხეთებმა მოიცეს იმდენი ძალა, რომ დაიპყრეს მთელი ეგვიპტე, სადაც ფარაონთა ტახტზე 500 წლის განმავლობაში ადიოდა ხეთელთა დინასტია, ხეთელთ სამეფო გვარის შთამომავალნი.

მეთვრამეტე საუკუნეში ქრ. წინ დიდათ გაძლიერდა მრავალ-რიცხოვანი ეგვიპტე და გაუმართა მედგარი ბრძოლა ხეთის სახელმწიფოს. მეთოთხმეტე საუკუნეში ორ მებრძოლ სახელმწიფოს შორის იკვრება ზავი, იწერება სამშვიდობო სიგელი (ტრაქტატი) ფარაონ სეზოსტრისსა და ხეთელთ მეფის ხეთასირას შორის; პირველი ემოყვრება მეორეს და ირთავს ცოლათ ხეთასირას ქალს. ეს უუძველესი ტრაქტატი, მეცნიერ მომსენის სიტყვით, დღესაც ინახება ბრიტანიის მუზეუმში და საგულისხმოა მით, რომ მასში ორივე მოკავშირე ხელმწიფე მოხსენებულია თანატოლათ. აქედან ნათლად ჩანს თუ რა ძლიერი ყოფილა იმ დროს ხეთელთა სახელმწიფო, რომელშიაც, ეჭვი არაა, შედიოდენ მოსოხები ანუ მესხეთი და ტუბალიები, ანუ იმერები (იმერეთი).

საგაზეთო წერილის ვიწრო ფარგალი არ გვაძლევს ნებას შევჩერდეთ, თუ რა დიადი როლი ითამაშეს ხეთელებმა მსოფლიო ისტორიაში თავის მაღალი კულტურით, ვაჭრობა-მრეწველობით, რკინა-ფოლადის დამუშავებით და კარტოგრაფიის მოგონებით. საჭიროთ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ფინიკიელ-ეგვიპტელებთან ერთად ხეთები შეიქნენ ელადის ანუ ძველი საბერძნეთის ოსტატი, რომლის ხუროთ მოძღვრებამ, ქანდაკებამ, მუსიკამ, რელიგიამ ლეგენდებმა და საერთოთ ზეპირ-სიტყვაობამ ჩაუყარეს მტკიცე საძირკველი საბერძნეთის მაღალ ხელოვნებას, მითოლოგიას, პოეზიას და ფილოსოფიას. ამიტომ სამართლიანათ ამბობს მეცნიერი რიტტერი: თუმცა ელადას დიდი ღვაწლი მიუძღვის ევროპის წინაშე, მაგრამ ნუ გავიწყდებათ, რომ აღმოსავლეთით არსებობს ერი, რომელსაც კიდევ მეტი ღვაწლი მიუძღვის მთელი კაცობრიობის წინაშე და ეს ერია საქართველო.

მეთორმეტე საუკუნიდან ქრ. წინ იწყება, მრავალი ისტორიულ მიზეზთა გამო, ხეთელთ სახელმწიფოს დარღვევა. ხეთელი ტომები თან და თან სტოვებენ თავის ბინას და იხევენ ჩრდილოეთით და დასავლეთით. ისინი ეფარებიან შავი ზღვის პირს და ამიერ კავკასიას, ესახლებიან მდ. ჰალისის ჭაროხის, რიონის, ცხენისწყლის, ყვირილას, ენგურის და კოდორის აუზებსა და სათავეებში, კავკასიონის კალთებ შორის, სადაც უმდებოდათ დიდი ბრძოლა ადგილობრივ ხალხთან, რასაც მოყვა ხეთების ნივთიერი, კულტურული და პოლიტიკური დაქვეითება.

მეხუთე საუკუნეში ქრ. წინ წვრილ სამთავროებათ დაგლეჯილი ხეთელთ ტომები, მაგ., ისპირები, ჭანები კოლხები, მაკრონები, სვანები, ხალეიბები, ამსილები, ბერები, მოსტები, და სხვ. უკვე შეიცავდენ სპარსეთის ძლიერ სახელმწიფოს ნაწილს ანუ საწიაპის და შემდეგ იბრძოდენ ალექსანდრე მაკედონელის წინააღმდეგ. პირველ საუკუნეში ქრისტეს წინ რომის იმპერიის ბატონობის დროს დასავლეთი საქართველო შეადგენდა ორს დამოუკიდებელ სამეფოს: პონტსა და კოლხეთს. პონტის სამეფოში უმთავრესად შედიოდა ლაზიკა და კაპადოკია, ე. ი. ჭანეთი, რომლის გმირი მეფე მიტრიდატი დიდ წინააღმდეგობას უწევდა რომის ბატონობას ამიერ კავკასიაში.

იესო ქრისტეს მოვლენამ წარმოშვა ახალი ხანა მსოფლიო ისტორიაში. ახალი სარწმუნოება მალე მოეფინა ევროპას და წინა აზიას. თვით დასავლეთისა და სამხრეთ საქართველოში ქრისტეს მოძღვრება იქადაგეს და გაავრცელეს თვით იესოს მოციქულებმა, ანდრია პირველ წოდებულმა და სიმონ ქანანელმა, ესენი განსაკუთრებით მოღვაწეობდენ ჭანეთსა და სამეგრელო-აფხაზეთში. ამ ქრისტიანობის ხანაში ჭანეთმა მოგვცა ორი შესანიშნავი პირი, წმ. გიორგი, რომელიც მიჩნეულია საქართველოში უდიდეს წმინდანათ და წმ. ნინო, განმანათლებელი ივერიისა. მეექვსე საუკუნეში ჭანეთმა მოგვცა 13 განათლებული მამა, რომლებიც იოანე ზედაზნელის თაოსნობით მოევლინენ ივერიას, შეებრძოლენ მედგრათ ძველს წარმართულს რჯულს, ცეცხლის თაყვანებას, დაარსეს მონასტრები, სკოლები და განამტკიცეს ქართველებში ქრისტეს სარწმუნოება.

კიდევ მეხუთე საუკუნეში კოლხეთი და ჭანეთი შეადგენდა ერთ სამეფოს, რომლის მეფეთ ითვლებოდა გუბაზი, ვერაგულათ მოკლული ბიზანტიელთაგან. ხოლო შემდეგ ხანებში იმდენად გაძლიერდა ბიზანტიის გავლენა, რომ საქართველოს ჩამოაცალა საუკეთესო მხარე, ლაზიკა და კაპადოკია, ე. ი. ჭანეთი, რომელიც XII-ტე საუკუნემდე სრულებით დაექვემდებარა ბიზანტიის იმპერიის გავლენას. მეთორმეტე საუკუნეში საქართველოს დიდებულმა მეფემ თამარმა წაართვა ბიზანტიის იმპერატორს მთელი ჭანეთი და სხვა ადგილები მცირე აზიაში და საქართველოსთან შეერთების ნაცვლად გახადა დამოუკიდებელ იმპერიათ, რომლის იმპერატორათ დანიშნა თავის ნათესავი ალექსი კომნენი, ეს იყო პოლიტიკური შეცდომა დიდი თამარის მხრით, მაგრამ სამწუხაროდ ასეთი მარცხი ხშირად მოსდიოდათ ჩვენს მეფეებს. ბიზანტიის დაცემის შემდეგ, მეთუთხმეტე საუკუნეში, მთელი იმპერიის პატრონათ შეიქნენ ოსმალოს თურქები, რომელთაც ხელში ჩაუვარდათ ჭანეთიც. ამ დღიდან იწყება ხანგრძლივი ტრაგედია, როგორც ჭანეთის ისე სრულიად ქართველი ერის ცხოვრებაში. ოსმალოს მკაცრმა რეჟიმმა ძლიერ დააქვეითა განათლებული ჭანეთი და ჩაახრჩო მასში ქრისტეს სარწმუნოება. ასევე დამართა საქართველოს სხვა კუთხეებსაც, მაგ., აჭარას, ქობულეთს, ჯავახეთს, ერუშეთს და ტაო-კლარჯეთს, ე. ი. დიდ მესხეთს, რომელიც მოგლიჯა ჩვენს დასუსტებულ სამეფოს. მაგრამ საუკუნოებით დაშორებულ ჭანეთს დღემდე შერჩა ეროვნული ენა, ზნე-ჩვეულება, ნიჭი, სიმკვირცხლე და საქმიანობა. მთელს ოსმალეთის იმპერიაში ჭანი საუკეთესო მებაღეა, მეთუთუნე, დურგალი და მეზღვაური. ერთ დროს მრავალი რიცხვოვანი ჭანეთი დღეს ძლივს აღწევს 100.000 სულამდე,

წარსულმა საუკუნემ ჩვენ შემოგვიერთა საუკუნოებით მოწყვეტილი მესხეთი და ორი დიდი ხნით დაშორებული ძმა გადაეხვიენ ერთმანეთს. დღეს კიდევ მსოფლიო ომის ქარტეხილმა გადმოისროლა ჩვენსკენ ჩვენთვის თითქმის დაკარგული ჭანეთი, ეს წმ. გიორგის და წმ. ნინოს ტურფა სამშობლო. ყსაზღვროა ქართველი ერის სიხარული. დღეს თითქმის გაერთიანდა ძველი საქართველო ორთავა არწივის დროშის ქვეშ. დღეს კოლხეთ-ივერიის ფარგალში მოექცა ძველი ლაზიკა და კაპადოკია, ათასი წლით გატყორცნილი, მოშორებული ეროვნულ კერას და ობლათ მკვნესარე. მაგრამ ათასი წლის მოშორებამ და ტანჯვა ვაებამ ვერ დაავიწყა ჭანს ქართველს სამშობლო ენა და ზნე-ჩვეულება, რომლებიც სულს უდგამდენ და ამხნევებდენ მას საუკუნეთა ბნელ დილეგში.

კურთხეულ იყოს ეროვნულ სულის და ენის უშრეტი ძლიერება, რომელსაც ვერ იმორჩილებს საუკუნეთა სვლაში ტლანქი ძალმომრეობა!...

დღეს საქართველომ უნდა ჩაიხუტოს გულში თავის დაკარგული შვილი და გაუწიოს ნამდვილი დედობა. ქართველი ერის შეგნებულნი ნაწილნი უნდა შემოკრბენ დღეს, აღიჭურვონ ერთსულოვნობით, აღმოუჩინონ ნამდვილი მფარველობა და დახმარება აწ მოპოვებულ ძმებს. ტკბილმა ქართულმა იავნანამ უნდა გაუღვიძოს მიფერფლილი გრძნობა დაკარგულ შვილს და ამცნოს თავის მშობლები...

გიხაროდეს, ქართლოსიანთა მოდგმავ! შენ გიბრუნდება დღეს ათასი წლით მოგლეჯილი შენი ნაწილი! შენ მთელდები! დიდებულია ეს წამი! დიდებულია ამ გრძნობის განცდა!...

მაშ, სალამი დიდი ხნით დაშორებულ ძმებს! სალამი და ძმური ამბორი მამაც ჭანებს! წარსულში თქვენ შექმენით მაღალი კულტურა, თქვენ წარმოშვით დიდებული პირნი; ისტორიის გრიგალმა საუკუნეთა სრბოლაში ვერ ამოგვგლიჯათ ძვირფასი ენა, ვერ შეარყია თქვენი უკვდავი სული! მაშ უნდა ვიქონიოთ სრული რწმენა, რომ ამიერიდან თქვენ შეეტკბებით თქვენს საყვარელს დედას, თქვენს სამშობლოს, თქვენსავით ტანჯულ საქართველოს და საერთო ძალით, დიდი წარსულის მქონენო, შექმნით დიდებულ მომავალს!... გვწამს, რომ

„დრო მოვა და თავს აიშვებთ,
კირთებს დაგლეჯთ გმირთა-გმირი,
სიხარულათ შეგეცვლებათ
ამდენი ხნის გასაჭირი“...

**სიმონ ქვარიანი.**

## ქალაქის საბჭო

**18 აპრილის სხდომა.**

თავმჯდომარემ ა. ი. ხატისოვმა წაიკითხა უმაღლესი დეპეშა ხელმწიფე იმპერატორისა, რომელიც პასუხი იყო ქალაქის საბჭოს მიერ გაგზავნილ უქვერშევდომილესი მილოცვისა ტრაპიზონის აღების გამო. დეპეშა ფეხზე ადგომით მოისმინა კრებამ. კრებამ მოისმინა აგრეთვე საპასუხო დეპეშები იმავე საგნის შესახებ მეფის ნაცვლისა და გენერალ იუდენიჩისა. კრებას მოხსენდა მადლობა თავ. ნ. ვ. არღუთინსკის ქვრივისა, რომ ქალაქის თვითმართველობამ პატივი სცა მისი ქმრის ხსოვნას და აგრეთვე მოისმინა მადლობა გ. ნ. სტეფანოვისა იმის გამო, რომ საბჭომ აღნიშნა მისი მოღვაწეობა ქალაქის თვითმართველობაში.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია გუბერნატორის წინადადებამ შესახებ იმისა, რომ საბჭოს განეხილა ტერ-ვართანიანცის საჩივარი გამგეობის დადგენილების გამო მომჩივნის შესახებ. გარემოება ასეთია: ტერ-ვართანიანცი ითვლება საქალაქო ადგილების მზომელ განყოფილებაში. ამავე განყოფილების უფროსია ბ-ნი მელიქ-ალახვერდოვი. ამ უკანასკნელზე ქალაქის გამგეობაში საჩივარი შეუტანია ტერ-ვართანიანცს, რომ ის სამსახურის ასრულების დროს ბოროტმოქმედებსო და თავისს საჩივარს მრავალი ფაქტებით ასაბუთებს ტერ-ვართანიანცი. მაგალითად ის ამტკიცებს, რომ მელიქ-ალახვერდოვის წყალობით ბევრი მამული დაეკარგა და ეხლაც ეკარგება ქალაქსო, ქალაქის კუთვნილი ფული აიღო სხვისაგან, მაგრამ ქალაქის კასაში არ შეიტანა, სანამ ამის შესახებ განგაში არ ასტეხეს გაზეთებშიო; მისი ხელქვეითები სამსახურის დროს კერძო საქმეებს აკეთებენო და სხ. ქალაქის სარევიზიო კომისიას გამოუძიებია ეს საჩივარი და აღმოუჩენია, რომ ტერ-ვართანიანცი ყველაფერს მართალს ამბობდა, მიუხედავად ამისა გამგეობას დაუდგენია: სასტიკი შენიშვნა გამოეცხადოს მომჩივანს, 5 წლის ნამსახური დაეკარგოს მას და დადგენილება ჩაწერილ იქმნას სამსახურის წიგნში (ფორმულიარი). მელიქ-ალახვერდოვის შესახებ დაუდგენია, რომ საყვედური გამოეცხადოს. გამგეობის ასეთი დადგენილება სრულიად კანონიერად უცვნია სარევიზიო კომისიას.

გამგეობის დადგენილება ბ-ნ ტერ-ვართანიანცს განუსაჩივრებია საბჭოს წინაშე. მაგრამ გამგეობას ეს საჩივარი არ წარუდგენია საბჭოსათვის. მაშინ იგივე საჩივარი ტერ-ვართანიანცს მიურთმევია გუბერნატორისათვის და ამ უკანასკნელის წინადადებით საბჭომ 18 ამა თვეს განიხილა საჩივარი.

საქმის განხილვის დროს გამოირკვა, რომ მიწის საზომ განყოფილებაში დიდი უწესრიგობა გამეფებულა. განყოფილების უფროსი მელიქ-ალახვერდოვი ნებით თუ უნებლიეთ არაფერს ყურადღებას არ აქცევს და ამის გამო ქალაქის უძრავ მამულებს ვისაც უნდა, ის იტაცებს, მაგრამ, ცხადია, უფრო იტაცებენ მელიქ-ალახვერდოვის მეგობრები; განყოფილების მოსამსახურენი ქალაქისაგან ჯამაგირს იღებენ, მაგრამ სამსახურის დროს კერძო საქმეს აკეთებენ, მომეტებულად-კი იმავე საქალაქო საქმეებს, რომელთაც ნაჭრობით ღებულობენ ცალკე ფასებში; მოსამსახურეთათვის ჯამაგირი წარმოადგენს სხვათა შორის შემოსავალს, ცხოვრების უმთავრეს სახსარსკი კერძო საქმეები შეადგენს.

სარევიზიო კომისიის გამოძიება საბჭოს სავსებით არ მოახსენა გაგეობამ. კიმისიის თავმჯდომარე ხუნუნცი ამტკიცებდა, რომ ყველაფერში გამგეობაა დამნაშავე, რომელმაც უხეირო პირობები შექმნაო. ბ-ნი ხატისოვი მელიქ-ალახვერდოვს ამართლებდა იმით, რომ ის გულმავიწყი კაციაო. მოსამსახურეებზე ამბობდა, რომ მცირე ჯამაგირს ღებულობენ და ამის გამო იძულებული არიან კერძო საქმეები აკეთონო. შ. მესხიშვილი ამტკიცებდა, რომ მელიქ-ალახვერდოვის საქციელი ბოროტმოქმედებაა და საკვირველია, გამგეობა რატომ აფარებს მას ხელს და ტერ-ვართანიანცს-კი, რომელმაც ეს ბოროტ-მოქმედება გამოააშკარავა, სასტიკად სჯისო. მესხიშვილს მიემხრო ა. ბაბოვი და რამდენიმე ი. მ. დოლუხანოვი.

საბჭომ დიდძალ ხმის უმეტესობით დაადგინა უყურადღებოდ დასტოვოს ტერ-ვართანიანცის საჩივარი.

## სახალხო სკოლების მასწავლებელთა ურთიერთ შორის დამხმარე საზოგადოება

პირველი საორგანიზაციო კრება ამ საზოგადოების წევრთა შესდგა 15 ამა თვეს ფილიპე მგელაძის თავმჯდომარეობით. წაკითხულ იქმნა საზოგადოების წესდება, რომლისაგანაც სჩანს, რომ საზოგადოების მიზანია გააუმჯობესოს თავის წევრთა ნივთიერი მდგომარეობა, დააკმაყოფილოს მათი სულიერი მოთხოვნილება და გააერთიანოს მასწავლებელთა ძალა პედაგოგიურ ასპარეზზე სამოღვაწოდ. საზოგადოების წევრად ყოფნა შეუძლიან ორივე სქესის მასწავლებელს. საწევრო გადასახადი წლიურად 3 მანეთია. საზოგადოებას შეუძლიან გახსნას თავისი განყოფილებანი თბილისის გუბერნიის სხვა და სხვა ადგილას.

კრებამ დაადგინა მოიწვიოს 1—10 თიბათვემდე საზოგადოების დამფუძნებელი კრება. ამ საქმის მოსაწესრიგებლად არჩეულ იქმნა საორგანიზაციო ბიურო, რომელშიაც წევრებად შედიან: ქ-ნნი ვახვახიშვილი-წერეთლისა, ან. მგელაძისა, ყაზახაშვილისა, ელისაბ. ელიავასი. ბ-ნნი ვ. ბურჯანაძე, დ. დუმბაძე, პეტროვი და პ. ქარცივაძე.

კრების გათავების შემდეგ, იმავე საღამოს, გაიმართა ბიუროს წევრთა თათბირი. ბიუროს თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ვ. ბურჯანაძე, ხოლო მდივნად პ. ქარცივაძე.

მეორე კრება ჰქონდა ბიუროს 17 ამა თვეს. კრებამ დაადგინა იშუამდგომლოს ქალაქის თვითმართველობის წინაშე, რომ დაუთმოს საზოგადოებას საქალაქო სკოლების შენობები, საცა დამფუძნებელ კრებაზე ჩამოსულ მასწავლებლებს დააბინავებს; აგრეთვე სთხოვოს გამგეობას სახალხო სახლის დარბაზი კრებისათვის და 600 მანეთი ფული კრების საჭიროებისათვის.

ქალაქის მოურავთან წარსაგზავნად ბიურომ საგანგებო კომისია აირჩია, რომელშიაც შედიან ქ-ნნი მ. ვახვახიშვილი-წერეთლისა და ელის. ელიავასი, ბ-ნნი ვარ. ბურჯენაძე და დ. დუმბაძე.

იმ მასწავლებლებმა, რომელნიც რაიმე მოხსენების წაკითხვას მოისურვებენ დამფუძნებელ კრებაზე, თავიანთი მოხსენება უნდა წარმოუდგინონ ბიუროს თავმჯდომარეს 25 მაისამდე. აგრეთვე [illegible] ჩაწერა უნდათ საზოგ[illegible] ფული და წერილი უნდა გამოუგზავნონ იმავე ვარ. ბურჯენაძეს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის სახლი).

ბიურომ აგრეთვე გადასწყვიტა აღნიშნულ დამფუძნებელ კრების მონაწილეთა და სხვა მასწავლებელთათვის მოაწყოს ქართულ-რუსული ლექციები პედაგოგიურ ხასიათისა. ამ საგნისთვის ბიურო დახმარებას ითხოვს წერა-კითხვის გამავრცელებელ და ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებათაგან. ქართულ ენაზე ლექციების წაკითხვის სურვილი უკვე განაცხადეს შ. ქარუმიძემ და ლ. ბოცვაძემ. რუსულ ენაზე ლექციის წასაკითხად ბიურო აპირობს მოიწვიოს, სხვათა შორის, ცნობილი პედაგოგი და ლექტორი ბ-ნი ვახტეროვი.

## მურიის აჭ-პარში

**(წერილი ოზურგეთიდან)**

„ზოგი ჭირი მარგებელიაო“, ამბობს ხალხის ბრძნული თქმულება და სწორედ ასევე დაგვემართა ჩვენ, ქართველებსაც; თუ არ მსოფლიო სისხლის ღვრა, თუ არ მილიონობით ჯან-ღონით სავსე, ოჯახის მარჩენალ ვაჟკაცთა ამოჟლეტა, თუ არ მთელ მხარეთა განადგურება-აოხრება, დღესაც ისევე მივიწყებული გვეყოლებოდნენ ჩვენი მოძმე, ჩვენი სისხლი და ხორცი ქართველი მაჰმადიანები, როგორც მანამდე; ვიოცნებებდით წარსულზე, ოხვრაკვნესით გავუზიარებდით ერთმანეთს, რომ ოდესღაც დიდებული წარსული გვქონია, რომ ოდესღაც ყვაოდა ჩვენი ლიტერატურა, ხუროთმოძღვრება და ამ დიადი კულტურის შექმნაში შესაფერი წილი ედვათ იმ ხალხს, რომელიც დროთა უკუღმართობამ და ბედის ტრიალმა ჩამოგვაშორა და უხეშ ძალას დაუმორჩილა, რომელმაც ჩაახშო მასში ყოველივე მისწრაფება უკეთესი მერმისისადმი და ველურობა გაამეფა მის არსებაში.

თანამედროვე ომმა გააქარწყლა ყოველივე ეს და თვალები აგვიხილა და გვაგრძნობინა მთელი თავისი სიგრძესიგანით, რომ ჯერ კიდევ დროა, დაგვიანებული არ არის ხელი გავუწოდოთ ძალით ჩამოშორებული ერის ნაწილს და შემოვიერთოთ სულიერად; ნათლად დაგვარწმუნა იმაში, რომ შეიძლება ერთ ოჯახში ორი ძმა სულ სხვა და სხვა სჯულსა და სარწმუნოებას აღიარებდნენ, მაგრამ იმავე დროს ღვიძლი ძმებიც იყვნენ: საერთო მტერს ყოველთვის შეერთებული ძალით გაუმკლავდნენ და გაიმარჯვებენ კიდეც, თუ თანხმობა, ერთსულოვნობა სუფევს მათში; შეერთებული და შეკავშირებული ძალა დასთრგუნავს ყოველივეს, გადალახავს ყოველგვარ დაბრკოლებათ—ამ შემთხვევაში სარწმუნოება ვერ გათიშავს ორ ერთ-სულ და ერთ-ხორც ძმას.

სარწმუნოება, ეს ადამიანის სინიდისის საქმეა, ვისაც რა უნდა—იწამოს და ილოცოს მისი პირადი შეხედულებისამებრ; მხოლოდ ეროვნება აერთიანებს, აკავშირებს და ადუღებს ადამიანთა კრებულს ერთ არსებად—ეს არის ერთად-ერთი ქვაკუთხედი მათი სულიერი კავშირისა.

მხოლოდ თანამედროვე ომმა შესძლო საუკუნეებით მოწყვეტილ თანამოძმეთა, ქართველ-მაჰმადიანთა და ჩვენ, ქართველ-ქრისტიანთა, შორის ჩატეხილი ხიდის გამრთელება—მან შეგვაერთა მჭიდროდ. დავიწყეთ მათ ბედ-იღბალზე ზრუნვა, მისვლა-მოსვლა მათთან, მათი ახლანდელი ბუნებისა და ზნე-ჩვეულებათა შესწავლა.

ქართველ მაჰმადიანებით დასახლებული სოფ. აჭი, რომლის დასათვალიერებლად და გასაცნობადაც 12 აპრილს გაემგზავრნენ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ოზურგეთის განყოფილების გამგეობა და თქვენი კორესპონდენტი, მდებარეობს 8—10 ვერსის მანძილზე ოზურგეთიდან სამხრეთ-დასავლეთით. სამი მხრიდან გარს შემორტყმია ხინოსა და აჭარის მთაგრეხილთა გაგრძელება, წინ კი იმავე სახელწოდების მდინარე ჩამოუდის, რომლის სწრაფ მიმდინარეობაც არაგვს არ ჩამოუვარდება და აქაფებულ ჩანჩქერ-ჩახრიალათა შხუილიც შორს მოისმის. აჭის წყალის კალმახს შორს აქვს გავარდნილი სახელი.

ხინოს მთა ჯერ ისევ თოვლითაა დაფარული და თეთრი ბამბის ქულასავით დარაჯად წამოსდგომია სოფელს. სოფელი მთლად 46 კომლი ქართველ მაჰმადიანებითაა დასახლებული.

გარშემო მთები რცხილის, წიფლის და ფიჭვ-ნაძვნარის ტყითაა დაფარული.

ხის სახლები სადღაც მთის კალთებზეა გადმოკიდული არწივის ბუდესავით და საკმაო სახნავ-სათეს მიწებზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია. არის ისეთი ადგილები, რომ წელზე თოკი უნდა შეიბას ადამიანმა, ზევიდან რასმე დაეკიდოს და ისე გათოხნოს ორი-სამი „საჟენი“ მიწა, რომ ფეხი არ მუსხლტეს ნაპრალზე და სადმე ჭრამში არ გადიმსხვრეს. ყველა ამის ნახვაზე, უნებურად თვალ წინ წარმოგიდგება ადამიანს ა. ყაზბეგის მიერ აწერილი თვალ წარმტაცი სურათები მოხევეთა ბუნებიდან.

ბარელი, რასაკვირველია, ვერ წარმოიდგენს, თუ რა ტანჯვა-წამებით უხდება აჭელ გლეხს ერთი მტკაველა მიწის დამუშავება.

სიმინდის მოყვანის გარდა აჭლები მისდევენ კიდევ მეფუტკრეობას და 1000-მდე სკაა სოფელში, მაგრამ სამწუხაროდ მათი მოვლა კი ისევ ძველებური, პრიმტიული წესით სწარმოებს, ორი უბრალოდ გათლილი გეჯა (გობი) ერთმანეთზე პირქვე დამხობილი, მორჩა და გათავდა და ამიტომ ვერც იძლევა შესაფერ ნაყოფს.

17 წელიწადია ამ სოფელში არსებობს ერთკლასიანი სამინისტრო სკოლა, რომელშიც ამჟამად 39 მოწაფეა 29 მამრობითი და 10 მდედრობითი სქესის; 36 ქართველი მაჰმადიანია და 3 კი მართლმადიდებელი.

როგორც ადგილობრივ მასწავლებელმა ბ. ნ. იობიშვილმა გადმოცა, პირველ ხანებში ძლიერ გაურბოდნენ სკოლას აჭლები, და 20 ზევით მაინც არასოდეს არ გასცილებია მოწაფეთა რიცხვი; ეხლა კი ერთი-ორად გაიზარდა. მათაც შეიგნეს, რომ „უსწავლელ კაცს არსად“ მიესვლება. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ერთი კლასით კმაყოფილდებიან და არ განაგრძობენ სწავლას, თუმცა ზოგიერთ ბავშვთა მშობლებს მოეძებნებათ ღონისძიება და საშუალება—თურმე ის გარემოება აშინებთ, რომ „ნასწავლი უსათუოდ ან რჯულს გამოიცვლის ან ქრისტიან ქალს შეირთავს ცოლადაო“. რასაკვირველია, შიში უსაფუძვლოა და შემდეგისთვის იმასაც შეიგნებენ, რომ სწავლა ვერ გამოაცვლევინებს ადამიანს სჯულს.

თვით ბავშვები ფხიზელი გონების პატრონნი არიან და თითოეულ შეკითხვაზე მოსწრებულ და მოფიქრებულ პასუხს იძლეოდნენ. მკვირცხლი და ცოცხალი შეხედულება აქვთ, შავი და გამომეტყველი თვალწარბი.

დროთა ბრუნვას და უკუღმართობას ვერ აღმოუფხვრია მათში რაინდული და გაბედული სულისკვეთება. მაგალითისთვის მოვიყვანთ ერთი მოწაფის პასუხს. საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობის წევრმა თავ. ივ. ნაკაშიძემ გადაშალა „დედა-ენის“ პირველი ნაწილი, უჩვენა ოფოფი და ჰკითხა, თუ უნახავს ცოცხლად ხსენებული ფრინველი? „მინახავს და კიდეც მომიკლავსო“,—იყო ბავშვის პასუხი. „რით, ჯოხით ხომ არა?“ კვალად შეეკითხა თავ. ნაკაშიძემ. ბავშვს თითქო არ ესიამოვნა ასეთი კითხვა, შეურაცყოფილად იგრძნო თავი და ღიმილით მიუგო: „ჯოხით კი არა, თოფით, ბატონო, თოფით მოვკალი“-ო.

7—8 წლის ბავშვი და თოფის ხმარება რას ამტკიცებს თუ არ რაინდულ სულს ერის წარსულისას!

სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ, როგორც ქართველებს სჩვევიათ, აჭარლებშიც უჩენია თავი კინკლაობასა და უთანხმოებას და ზოგიერთნი თურმე ალმაცერად უყურებენ ქართულ სკოლას და, როგორც ზევითაც მოვიხსენიე, ეშინიათ ვაი თუ ქართულმა სკოლამ შვილები გაგვიქრისტიანოსო და ასეთ შიშს სწორედ ისინი გამოსთქვამენ, რომელთაც მოწინავე და შეგნებულად მოაქვთ თავი. ყველას მოვალეობაა და უპირველეს ყოვლისა ადგილობრივ ხოჯასი, რადგან მას დიდი გავლენა აქვს საზოგადოთ მრევლში, აუხსნას ხალხს, რომ ჩვენ მივდივართ მათთან, როგორც ქართველები და არა ქრისტიანები, მივდივართ მხოლოდ იმ აზრით, რომ სწავლა-განათლება შევიტანოთ ჩვენ თანამოძმეთა შორის და არა ქრისტიანობა. ჩვენ ქრისტიანები და მაჰმადიანები ქართველები ვართ და ეს საკმაოა ჩვენთვის ჩვენ ღვიძლ ძმებად ჩავთვალოთ ისინი და ვიზრუნოთ კიდეც მათს კეთილ დღეობაზე შეძლების დაგვარად.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ უხვი დახმარება მიიღო ამ სკოლაზე ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებამ, სახელდობრ 1000 მან.; 600 მან. უქვე მიიღეს კიდეც და კრამიტით დახურეს ხსენებული სკოლა, ახალი პარტები გააკეთებინეს და 39 მოწაფეს შეუკერეს ტანთსაცმელი და სამოსწავლო ნივთები დაურიგეს.

**გ. ჯავახი.**

# ღია წერილი

**სურამის დრამატიულ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს ბ-ნ გრიგ. შალიბაშვილს.**

**მ. ხ.**

23 მარტს საზოგადოების საერთო კრებამ დაადგინა, რომ მოხდეს გამგეობის არჩევნები და ამისათვის საზოგადო კრება დაინიშნოს 2 აპრილისათვის. თქვენ გეცოდინებათ, რომ, წესდებით, გამგეობა ირჩევა ერთის წლით, ისიც ხომ იცით, რომ ხუთ წელზე მეტია, რაც დღევანდელი გამგეობა თქვენის თავჯდომარეობით გამგეობის ალაგას არის, და თქვენ ერთხელაც არ მოგგონებიათ და დღიურ წესრიგში არ შეგიტანიათ საკითხი გამგეობის არჩევისა. ასე მოიქეცით თქვენ უკანასკნელადაც და ამიტომ კრება იძულებული იყო თვითონ დაესვა ეს საკითხი. ეს არის საქმის ფორმალური მხარე... როგორ შეხვდით თქვენ ამ დადგენილებას. წავიკითხეთ თქვენი წერილი „საქართველოს“ № 76. გვაკვირვებს თქვენი ქცევა: წახვედით აქედან, გამგეობის სხვა წევრებს არცი კი შეეკითხეთ და ისე ზეპირად იწერებით: **გამგეობამ სხვა და სხვა მიზეზების გამო ვერ მოასწრო კრების დანიშვნა და იგი მაისისთვის გადასდოვო.**

კრება ხომ დაინიშნა 2 აპრილისათვის და გამგეობის არჩევისათვის განა რაიმე მზადება იყო საჭირო?

ჩვენ ვიცით რა სხვა და სხვა მიზეზებია, რომ ხელს გიშლის თქვენ. ეს არის 23 მარტის საერთო კრების მეორე დადგენილება. **კრებაზე გამოაშკარავდა ბ-ნო შალიბაშვილო, რომ თქვენ წესდების წინაღმდეგ საზოგადოების ქონება თქვენ სახელზე ჩაგირიცხავთ, როგორც პირადი თქვენი ქონება.** ამის გამო კრებამ დაგავალათ დაუყოვნებლივ გადაგეტანათ საზოგადოებისავე სახელზე. მოიყვანეთ თუ არა ეს დადგენილება სისრულეში? ჩვენ ვიცით, რომ არა. თუმცა არავითარი გასამართლებელი საბუთი არა გაქვთ. თქვენ გვაიძულებთ ბ-ნო შალიბაშვილო, მივმართოთ უფრო მკაცრ ზომებს, რომ დავიცვათ საზოგადოების ინტერესები, მით უმეტეს, რომ მალე ზაფხული იწყება და თქვენის მხრით საქმის ყოვლად უმიზეზოდ გაჭიანურება საზოგადოების დარღვევის გზაზე მიაქანებს. ვადას გიდებთ ამ წერილის დაბეჭდვიდან **ათს დღეს**, რომ თქვენი მოვალეობა შეასრულოთ.

საზოგადოების წევრნი: 1) **ნ. დ. ჯობაძე**, 2) **კ. ხ. წოწონავა**, 3) **ქ. ბახუტაშვილი**, 4) **ვ. მურმანიშვილი** 5) **გ. ი. ორჯონიკიძე**, 6) **ნ. ნ. ტყემალაძისა**, 7) **კ. ნინიძე**, 8) **ზ. ხიდირბეგიშვილი**, 9) **მ. ბახუტოვისა**, 10) **დარია ქებაბუძისა.**

# ტრაპიზონი

(დასასრული. იხ. „საქარ.“ № 86).

**ისტორიული გარდმოცემა**

არის ასეთი ისტორიული გარდმოცემაც: ლაზელ-ჭანელ მეგრელები სცხოვრებდენ შავი ზღვის ნაპირას მდებარე ქალაქებში და სოფლებში. ჟამთა ვითარების წყალობით ლაზელ, ჭანელ მეგრელებს დაავიწყდათ ქართული ენის ხმარება და იგინი გადასხვაფერდენ ქართულის ენისაგან. ამ გარემოებას ქართველმა მეფეებმა ყურადღება მიაქციეს, ლაზელ და მეგრელთა ადგილებიდან ერთი ნაწილი ამ ხალხის აჰყარეს და ქართლისა და კახეთ იმერეთის სოფლებში დაჰფანტეს და მათ მაგიერ, სახელდობრ გურიას და ამის მოსაზღვრე სოფლებში მოიყვანეს ქართულად მოლაპარაკე ურიები და ესენი დაასახლეს, რომ ეგები ამათის დახმარებით, ისევ მოხდეს ენის გაერთიანებაო. მაგრამ ესეთი ენის შეერთება ველარ მოხდაო.

ძველად, ქართველი მეფენი აფხაზეთის მეფეებადაც იწოდებოდენ, ასეთია აფხაზთა ქართველთა შემდეგნი: ლეონ მეფე. მოკვდა 806 წ. თეოდორე მეფე, მოკვდა 846 წ. გიორგი მეფე, მოკვდა 876 წ. იოანე მეფე, მოკვდა 890 წ. ადარნასე მეფე, მოკვდა 896 წ. ბაგრატ, ძე დიმიტრი მეფისა, 906 წ. კონსტანტინე, ძე ბაგრატის, მოკვდა 921 წ. გიორგი, ძე კონსტანტინე მეფისა, მოკვდა 984 წ. ლეონ მეფე, მოკვდა 956 წ. დიმიტრი მეფე, მოკვდა 979 წ. ამ მეფის სიკვდილით გათავდა იმერ აფხაზთა მეფეთა წოდება და ამიერიდამ აფხაზეთი ქართვლის სამეფოსთან ერთად მოიხსენებოდა.

საქართველოს ორს სამეფოდ და ხუთ სამთავროდ გაყოფის შემდეგ, იმერეთში, როგორც საქართველოს მეორე სამეფოში დადგენილ იქმნა მეორე კათოლიკოსიც, რომელიც იწოდებოდა იმერ აფხაზთა კათოლიკოზებადაც. აფხაზეთის კათოლიკოზების რიცხვი რამდენიმეა და მათ შესახებ აზნუსხული აქვს და წიგნად დასტამბული რუსულს ენაზედ.

X საუკუნის შემდეგ, რაკი ლაზისტანის მეფედ წოდებულის თეოდორე ჟუსინაოლოს შემდეგ, თვით ლაზისტანიც შემოერთდა საქართველოსთან, მის შემდეგ, იგი ნელ ნელა ზემო ქართლთან ერთად ძლიერდებოდა და წარმატებას ეძლეოდა. XII საუკუნეში, ლაზისტანმა საქართველოს მეფობის დახმარებით დიდს სიმაღლეს მიაღწია, სწავლა განათლება აქ ერთობ დაწინაურდა, ამის გარდა ისედაც ხელოსან ლაზებს ქართველთა მეფენი უფრო ახალისებდენ ხელოსნობით, ასევე ხელს უწყობდენ მევენახობას, ანუ ბაღოსნობას და სხვათაც ბევრს საკუთარ სამეურნეო საქმეებს. ქართველ მეფეთა მოქმედებამ ეს ერი სამაგალითოდ გახადა მთელს მესოპოტამიას, ანუ ძველს კაპადოკიას. ამიტომაც მთელი ამ კუთხის მცხოვრებ ბიზანტიელიც სულ ლაზისტანის ქართველთა მფარველობის ქვეშ შემოდიოდნენ.

ამიტომაც კეთილ გონიერმა თამარ მეფემ განიძრახა მთელის მესოპოტამიის, ანუ კაპადოკიის და ლაზისტან ჭანეთის განთავისუფლება და საკუთარი მათი სახელმწიფოს დაარსება. დედოფლის განძრახვას ბიზანტიელთაც დიდის სიხარულით შეხვდეს და ბევრის თათბირების და მოწყობის შემდეგ გონიერმა თამარ მეფემ დააფუძნა ბიზანტიის იმპერიის ნაწილი, ტრაპიზონის სამეფო, ანუ ბიზანტიის მეორე, ანუ ტრაპიზონის სახელწოდების მქონი იმპერია მეორე. ამ გარემოებამ ბიზანტიელთა და ქართველთ შორის დიდი ერთობის ხიდი გადო.

ტრაპიზონის იმპერიის დაარსების შემდეგ, მთელს ლაზისტანსა და კაპადოკიაში ქართველთა ხელოვნება ხელშეუხებელი დარჩა და შეუზღუდავი. მაგალითებრ სადაც კი ქართველთა რიცხვი სცხოვრებდა და ქართველი ერის სოფლები იყო, იქ ქართველებს ჰყავდათ თავიანთი სოფლის მეთაურებათ ქართველები და ეს ქართველნი განაგებდნენ სოფლის საქმეებს ქართულის ენით, ეკლესიები ქართველთა აქვნდათ საკუთრებათ და შიგ ყოველთვის წირვა-ლოცვაც ქართულად სწარმოებდა და არა ბერძნულად. სასწავლებლებში ასწავლიდნენ როგორც ქართულს, ისევე ბიზანტიურს და სხვა ენებს და მწერლობასაც.

მთელს კუთხეში სასულიერო წოდების დამცველად იყვნენ ქართველი ეპისკოპოსნი და უფროსი მღვდელმთავარი სცხოვრობდა ტრაპიზონს, რომელსაც სახელად აქვნდა:—„ეპისკოპოსი ზემო ქართლისა“. სასულიერო გამგეობაში ყველგან იხმარებოდა ქართული ენა და სადაც ბერძენთა რიცხვი დიდი იყო, იქ ბერძნული ენა მეფობდა. XII საუკუნიდან, ტრაპიზონს ჰქონდა ნამდვილი ქართული სახე. აქაურობა სავსე იყო ქართველთა ვაჭრებით, ხელოსნებით, მექარხნეებით, მუშებით და სხვაც ასეთის მშრომლებით, ყველა მათში ქართული ენა სუფევდა.

მთელის საქართველოს სავაჭრო ყური ქალაქი ეს ტრაპიზონი გახლდათ. ამიტომაც მთელ ქართველთა სავაჭრო და საქარხნო სამრეწველო ძალა აქ, ამ ტრაპიზონში იდგამდა ფეხს და მაგრდებოდა. შენიშნულია, რომ XII საუკუნის ბოლოს, ტრაპიზონში თავი მოიკრიბეს ვაჭარ ქართველ ებრაელთა დიდმა რიცხვმა. ესენი აქ დასახლდნენ ერთს ქუჩაზედ, გააჩაღეს ვაჭრობა და ამით დაწინაურდენ.

ტრაპიზონში ებრაელებმა დაიჭირეს ერთი დიდი კუთხე, გააშენეს სახლები, სავაჭრო დუქნები და სხვა. მაშინ ქართველი ურიები უკვე ქართულ ენას ხმარობდენ დედა ენათ და ამათგან ამიტომაც მთელ ტრაპიზონის კუთხეებში ქართულმა ენამაც მკაფიოდ იწყო გახმაურება. შემდეგ საუკუნეებში ტრაპიზონი იყო შესანიშნავ სავაჭრო ქალაქად, სადაც ქართველთა რიცხვიც დიდი იყო.

ბიზანტიის დამხობის შემდეგ, (1452 წ.) რაკი ოსმალთა სლავიანთა სამეფოები მთლად დაიპყრეს და კონსტანტინეპოლს ფეხი მოიმაგრეს, მას შემდეგ იგინი ტრაპიზონისაკენ გადმოეიდენ და ბრძოლა დაიწყეს. აქ ტრაპიზონის ბრძოლამ 50 წელს გასტანა, ბოლოს მაინც დაიპყრეს მხოლოდ ტრაპიზონის სამეფოც. მოიშალა ტრაპიზონის იმპერია, უმეტესი ნაწილი ადგილების კი საქართველოს სამეფოს და სამთავროს მოეკიდლა, ოსმალებს მარტოდ ტრაპიზონი ეკავათ. მერე კი ანუ 1520 წ. ტრაპიზონიდამ სხვა ადგილებიც დაიკავეს, მაგრამ იგიც მაინც ცოტა ხანს დარჩა და ლაზებმა ოსმალნი ტრაპიზონში მირეკეს ისევ.

ოსმალთ ტრაპიზონი მესამედ 1580 წ. აიღეს. ამის შემდეგ კი აქ ფეხი გაიმაგრეს და ისლამსაც დაუწყეს ლაზებში ვრცელება. 1627 წ. რაკი ოსმალთა სამცხე საათაბაგო მთლად დაიმორჩილეს, მას მერე მთელი ლაზისტანის ადგილებიც სამცხითურთ ოსმალეთის სამფლობელოდ დაშთა. მის მერე კი ტრაპიზონს და მთელს ლაზისტანშიაც ქართველობის ყოველისფერმა იწყო შემცირება და მოსპობა.

მე-XVII საუკუნის გასვლამდის ტრაპიზონში მოისპო ქართველთა ყოვლისფერი ძალოვნება, მოისპო ქართველთ შორის სჯული, მას მიჰყვა ქართული ენის დაკარგვაც, მოისპო ტრაპიზონში ქართველ ვაჭართა რიცხვი, ხელოვნების და თვით მოხელეების, ამეების მოსპობას მოჰყვა მოსპობა სამღვდელოებისაც და მოკლე დროის განმავლობაში ტრაპიზონში მოისპო ქართული საყდრები და ქართველი სამღვდელოება და თვით ქართლის სულის მქონი ეპისკოპოსის კათედრაც. ქართველების ყოველივე გაქრა ტრაპიზონში,

ქართველთა გვერდით ბერძენთა სურვილი მაინცა და მაინც ისე არ ისპობოდა, როგორც ქართველთა, თუმცა ბერძნებიც დიდ დევნაში იყვნენ ჩავარდნილი. ტრაპიზონში, ქართველი ეპისკოპოსის კათედრაზე ბერძნებმა დასვეს ბერძნის ეპისკოპოსი და სახელად მას უწოდეს „ეპისკოპოსი ხალთისა„, ე. ი. „ეპისკოპოსი ქართლისა“, სიტყვა ქართლი ბერძნულად ასე გამოითქმისო: ასე მიამბეს ტრაპიზონელ ბერძნებმა.

ტრაპიზონის ვილაიეტში და თვით ამ ქალაქშიაც სცხოვრობენ მრავლად ისეთი ქართველნიც, რომელთა ჟამთა ვითარების წყალობით ქართული ენა დაუკარგავთ და იგინი დღეს ბერძნულად ლაპარაკობენ, თუმცა ლაპარაკის დროს კი, იგინი თავს ქართველად სთვლიან. ასეთებს ბევრს დღემდე შერჩენილი აქვთ თვით ქართული გვარებიც და სხვა ასეთი გვაროვნული ცნობანიც, ასეთების რიცხვი ტრაპიზონს და მის თემში ასი ათასზედ მეტი იქნებაო. აქ ქართველების დიდმა ნაწილმა დაჰკარგა ქართული ენა, მუსულმან ქართველებმა ოსმალური ენა შეითვისეს და გაოსმალდნენ და ქრისტიან ქართველებმა შეითვისეს ბერძნული ენა და გაბერძნდენ. ასეთ ქართველთა რიცხვს ტრაპიზონში კაცი ადვილათ ჰპოვებს, მათი აქ მთელი უბნებია, იგინი უკეთესად მისდევენ ვაჭრობას, ანუ აღებ-მიცემობას და ხელოსნობას. ტრაპიზონში ქართული ენა შეინარჩუნეს მხოლოდ ქართველ ებრაელთა, რომელთა რიცხვიც ტრაპიზონში 500 კომლზედ მეტი იყო ძველადგანვე.

**ზ. ჭ.**

# თეატრი

**სახალხო სახლში** 17 აპრილს დილით ბ-მა გოძიაშვილმა მოაწყო კონცერტი, ხოლო კონცერტის დაწყებამდე ბ-ნმა დ. კასრაძემ წაიკითხა ფრიად საყურადღებო ლექცია „უხელო რაფაელი და მისი ცისფერი ყანწები“.

ლექცია ფრიად შინაარსიანი გამოდგა და ეტყობოდა, რომ ავტორს ბევრიც უმუშავნია. დამსწრე საზოგადოებას გააცნო, თუ რა ნიადაგი ჰქონდა ფუტურიზმის წარმოშობას დასავლეთ ევროპაში და, განსაკუთრებით, მის სამშობლო იტალიაში. აღნიშნა ისტორიული მიზეზი მისის წარმოშობისა და მსმენელთ მრავალის ნიმუშებით ნათლად წარმოუდგინა თუ რას ნიშნავს ნამდვილად ფუტურიზმი და ან რას ქადაგებენ მისი მესვეურნი იტალიელნი. მარინეტი, პაოლო ბიუცი და ლუჩიანო ფოლგორე.

ლექტორმა სხვა მრავალ ფრიად საინტერესო დახასიათებასთან ერთად ხაზი გაუსვა, რომ ფილოსოფია ფუტურიზმისა არის გვირგვინი კაპიტალისტურ ხანისა და ეტრფის ქარხნების, ელექტრონის და ტეხნიკის ძლევამოსილობას თვით სიტყვა „ფუტრუმ“ ნიშნავს მომავალს და ამ მოძღვრების წინამორბედნი რაინდულის თავგანწირვით იბრძვიან სამშობლოს საკუთილდღეოდ. სპობენ ყოველსავე წარსულს, რაც ძალღონეს ართმევს ბედნიერების აღორძინების საბრძოლველად და მოუწოდებენ თანამედროვეთ არავითარი მსხვერპლი არ დაზოგონ სამშობლოს ზღუდეთა გასაფართოვებლად. მოუწოდებენ არა ლეგენდარულს და მითიურს, არამედ ფოლადის და ელექტრონის კუნთებივით აღჭურვილს ზეკაცს, რომელიც განაგებს ჰქმნის და სამშობლოს ბატონობას ანიჭებს.

შინაარსიან ლექციას ხალხი მრავლად დაესწრო.

ლექციის შემდეგ ბ-ნ გოძიაშვილის ლოტბარობით გაიმართა კონცერტი. იმღერეს საქართველოს ყველა კუთხის კილოები. კონცერტში 50-მდე მომღერალი იღებდა მონაწილეობას, და ორიოდ ნომრის გარდა, ყველა მოხდენილად და ტკბილად შეასრულეს.

*
* *

# ანგარიში

სახალხო სახლში 21 თებერვალს გამართულ იქმნა დილა წარმოდგენით და საკონცერტო განყოფილებით, რომლის შემოსავლიდან 50% გარდაეცა, „ძმურს ნუგეშს“.

სრული შემოსავალი იყო 571 მან. აქედან დაიხარჯა; სამხედრო ბეგარა 103 მ., თეატრის ქირა 53 მ. 80 კ. აფიშა 13 მ. პროგრამა 2 მ. განცხადება 10 მ. აფიშის გაკვრა 7 მ. მსახიობ ჩერქეზიშვილს და გოცირიძეს 60 მ. მომღერალ ინაშვილს 10 მ. დუბროვსკის 10 მ. შავერზაშვილს 10 მ. საზანდარს 23 მ. მუშებს 7 მ. ტანისამოსი 6 მ. წვრილმანი ხარჯი 10 მ. სულ 324 მ. 80 კ. შემოსავლიდან გაკეთდა „ძმური ნუგეშისთვის“ ესტრადა 30 მ. გადასაღობი კაკლისა 35 მ. არშია ფარდისთვის 5 მ. არტისტებს 30 მ. კედლის საათი 30 მ. ვეზიროვს არ დაუბრუნებია გაყიდულ ბილეთების ფული 78 მ. მე მაქვს მიღებული 43 მანეთი.

პატივისცემით **გ. ჩუბინიშვილი.**

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია ტფილის. საათით)

**თბილისიდან გადის:**

| | | № | ს. წ. | |
|---|---|---|---|---|
| ბათომისკენ | სამგ. მ. | 9 | 8.53 | სალ. |
| " | საფ. " | 3 | 9.58 | დილ. |
| ხაშურისკენ | სამგ. " | 19-20 | 3.20 | ნაშ. |
| ბაქოსკენ | ჩქარი " | 4 | 10.20 | სალ. |
| " | ჩქარი " | 6 | 12.8 | დღის |
| " | სამგ. " | 8 | 11.13 | ღამ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. " | 4-3 | 11.13 | ღამ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათომიდან | საფ. მ. | 4 | 9.30 | სალ. |
| " | სამგ. " | 10 | 9.51 | დილ. |
| ბაქოდან | საფ. " | 3 | 9.3 | დილ. |
| " | ჩქარი " | 5 | 7.41 | სალ. |
| " | სამგ. " | 7 | 1.42 | ნაშ. |
| ხაშურიდან | სამგ. " | 19-20 | 7.25 | დილ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. " | 4-3 | 8.8 | დილ. |

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ტფილისიდან | 8 ს. 58 წ. | დილ. | |
| ნავთლუღი-ამიერ კავ. | 9 " 23 | " | " |
| ნავთლუღი-კახეთისა. | 9 " 43 | " | " |
| ვაზიანიდან | 10 " 42 | " | " |
| იორიდან | 11 " 35 | " | " |
| საგარეჯოდან | 12 " 17 | " | " |
| ბადიაურიდან | 1 " 15 | დღის | |
| მელაანიდან | 2 " 37 | " | " |
| გურჯაანიდან | 4 " 08 | " | " |
| ვაჩნაძიანიდან | 4 " 58 | " | " |
| თელავში მიდის | 5 " 35 | " | " |
| გურჯაანიდან | 4 " 18 | " | " |
| კარდენახიდან | 4 " 50 | " | " |
| წნორის-წყალ. მიდის | 5 " 15 | " | " |

**თელავიდან**

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან | 8 ს. 58 წ. | დილ. | |
| ვაჩნაძიანიდან | 9 " 45 | " | " |
| გურჯაანიდან | 10 " 46 | " | " |
| მელაანიდან | 12 " 02 | " | " |
| ბადიაურიდან | 1 " 13 | " | დღის |
| საგარეჯოდან | 2 " 15 | " | " |
| იორიდან | 2 " 53 | " | " |
| ვაზიანიდან | 3 " 40 | " | " |
| ნავთლუღ-კახეთ. | 4 " 31 | " | " |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 4 " 46 | " | " |
| თბილისში მიდის | 5 " 01 | " | " |
| წნორის-წყლიდან | 9 ს. 16 წ. | დილ. | |
| კარდანახიდან | 9 " 46 | " | " |
| გურჯაანში მოდის | 10 " 16 | " | " |


**წიგნის მაღაზია**

# „ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).

**ი. დ. ქიქნაძისა.**

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

# 1916 წ. მიიღება ხელის მოწერა

**დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ**

# „ნაკადულ“-ზე

**წელიწადი მეთორმეტე**

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

**ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ**

**24** წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. **12** წიგნი „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი 3** მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის **12 წიგნი**—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

**ხელის მოწერა მიიღება**

**ტბილისში**—„ნაკადული“-ს რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი გოლოვინის პროსპ. № 8. Редакція „Накадули“, Головинскій пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალაძესთანა. **ფოთში**—ლუდმილა მეგრელიშვილთან. **ბათომში**—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში და სამსონ ყაზაიშვილთან უპრავაში. **ოზურგეთში** დ ლანჩხუთში—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—მარიამ ნაკაშიძესთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ივ. გომელაურთან. **ხონში**—მ. ი. ჰავჰანიძესთან. **მიხაილოვში**—გიორგი ნაკაიძესთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი **თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**

# თევზის მრეწველნი

# ძმ. ძეგველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

# განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-ზვით**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.


[illegible] სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაზიერის შესახვევი № 4.